

ლიტერატურული გაზეთი



დათო მალრაცე
ხელკაპი

ლექსი ხომ გზისპირა დუქანი არ არის, კლიენტის მართალი რომ იყოს ყოველთვის... სტრიქონით გათლილით ქვისაგან კარარის იცნობა ლექსი და იცნობა პოეტი.

ლექსი ხომ არ არის გზისპირა დუქანი, კლიენტმა ეძებოს სალხინო სტრიქონი, პოეტის სანაცვლოდ რომ დახვდეს მსუქანი მედუქნე ლიპით და კედელზე იკონი.

ლექსი ხომ არ არის დუქანი გზისპირა, რომ ყველა გამვლელმა იგულოს სამოთხედ, ან სენტემენტალურ გრძობების ინსპირაციისთვის ოცნლიან ვისკივით გამოდგეს.

მჯერა, რომ ჩემს სიტყვას შორითვე ენდობა მელნისფრად ჩამქრალი ბურბონთა ლილია, პირველად რომ ვნახე, მივწერე დედოფალს:

— არ ვიცი, თქვენამდე რამდენი მილია...

მოვდივარ, იმედი მომყვება იკონის,

კარდაკარ ნახეტი, —

ნაკარდაკარარი,

რომ თქვენი საკადრი გავთვალო სტრიქონი, —

ამისთვის ნამტვრევი მჭირდება კარარის.

მაქვს უფლის იმედი, რომ იქნებ მომამშორ-

ოს ბრეჯი, თავი რომ

ვიგულო მოკვდავად,

ქედი კი მალღობს და შესწვდება დო-მაჟორს,

თუ ჩემი მტკაველი გასწვდება ოქტავას.

...ეს ისე, ცოტა რამ საკუთარ ცხვირ-პირის

შესახებ, ახლა კი მივხედოთ ეპოქას...

ლექსი კი დუქანი არ არის გზისპირის,

რომ ცრემლი მოწმინდო

ნამთვრალე მეგობარს.

ვინც ვაშლის მაგივრად გაკბიჩა ატამი,

ტრენდისკენ გარბიან ეპოქის მონანი

და ევა თუ გახდა ადამის მადამი,

ეს, თურმე ნუ იტყვი,

ანუხებს ონანისტს.

წუხილს უერთდება ფორუმი დავოსის,

წუხს ევროკავშირის Leadership ამაღაც,

რომ ასეთ წუხილის საყოველთაოსი

გააფიშირება პრობლემას დამალავს.

— მოდი, კვლავ ცოტა ხნით

მაგისტრალს ბილიკით

დავმორდეთ, ჯინაზე გლობალურ მეტოქის,

რომ ვიგრძნოთ სურნელი მსუბუქი ლირიკის,

რომელიც პირმშოა ყოველი ეპოქის.

ჯერ ჰყვავის მიღედი, შორს არის სამოცი...

განკურნავს შორითვე ჭაბუკის იარებს...

საკუთარ სიმწიფეს, მდიდარს და გამოცდილს,

ჯერ დამწყებ მელექსეს რომ გაუზიარებს...

რომ მისცეს სათავე გლამურის გრაციას,

პოეტი მერე რომ არ იქცეს მენტორად,

რომ ჰქონდეთ ჯანსაღი კომუნიკაცია პოეტს და სალხინო გზისპირა რესტორანს.

ეს განცდა მინდა, რომ ფლეშივით მეჭიროს, — იყო ზღვა...

იყო ცა...

იყო ხსნა...

იყო სმა...

და ალბათ ყოველი მძაფრდება ჩემში, რომ

პოეტი ვერ მოკლას

ანალი-

ტიკოსმა.

ტრაფიკში გზას როცა ვაგინებ, ამით რა

იცვლება... ღმერთმანი, არ ვამბობ ქილიკით,

ბილიკი უფრო ჰგავს ცენტრალურ მაგისტრალს

და ჭეშმარიტებას მივყვები ბილიკით.

„ზღვა ღელავს“, —

დავარქვი Poetry-ს ფესტივალს,

არ ვიცი, ზღვაა თუ

მღელვარე მიღედი

და მაგისტრალური ბილიკით შევდივარ

მიღედის ტალღებში ცალმხრივი ბილიკით.

ფეხშველი პოეტის არ სჯერა ნაყროვანს,

სტვენით თუ სტრიქონის თოკზეა გასული

და რომ ტრადიცია მარადი ანმყოფა,

რომელიც არასდროს

არ ხდება წარსული.

დროს ვინც კი ეშვილა,

ფიქრობს, რომ ეშველა,

ფიქრობს, რომ უპოვა პოდიუმს ბილიკი...

და მხოლოდ პოეტმა იცის, რომ Cherchez la

femme-ია სამრეკლო დრამატულ ლირიკის.

მადლიან ფრაზაში სიტყვას ვინც გათოკავს,

ვინც უდროობაში დროს წაშლის კალამით,

ვინც გააფარჩაკებს დრო-ჟამის ადვოკატს:

— სალამი!

— სალამი!

— ათასჯერ

სალამი!

...„მარიენბადში“ რომ

რენემ დრო გააქრო,

არ ენდო ეპოქას, არ ანდო არენდა...

ვერ ჰგუობს ხელოვანს ხელოსნის საამქრო

და კიდებს თავიდან კედელზე კალენდარს.

ოლიმპოს ღმერთების, როგორც რომ ორ ფეო-

დალს შორის ბრძოლაში ინრობა პოეტი,

ვერ ჰგუობს ხელოსნის საამქრო ორფეოსს,

ეს ასე იყო და

იქნება ყოველთვის.

არეულ სიმებზე ეპოქის ხემია, —

მოცარტს რომ წაღეკავს

სულ ცამპა-რუმპათი...

და მე კი ვარჩიე პრესტიჟულ პრემიას

წვიმაში ხელკავი

და ქოლგის გუმბათი.

რეზო თაბუკაშვილი

ჩრდილის მაძებარი მზე

ფრაგმენტი
მომავალი მოთხრობიდან

...შარას მიუყვებოდა, მზე იდგა უკან და დოინჯ-
შემოყრილი ქალი, ზურგში ავად მომზირალი... ქა-
ლმა სიძულვილი იცოდა...

— ვახ, შენი დედა მოვტყვან!.. ვახ! შენი დედა!.. —
ილრიალა გაღვიძებისას და მთელი ძალით რამდენ-
იმეჯერ ჩაირტყა მუშტი გულის არეში.

მესამე თვეა უკვე, გათენებისას, ანდა გვიან ლა-
მითაც, ვიკინგის თუ შუა საუკუნეების ინკვიზიცი-
ის წითელნიღბიანი ჯალათის ჯანაინად მოქნეული
ორპირლესული ნაჯახი უმსხვრევს გულის ფიც-
არს... „გულის ფიცარი“ გაეცნო ახლოს, შეიგრძნო
ამ სიტყვის ზუსტი ახსნა და გაგება. ჰო, არის ძვლ-
ებით დააბჯრული და ნეკნებით აჭედებული გულის
ფიცარი, რომლის ჭახანის ხმა აღვიძებს სულის
ჩამანგრეველი ტკივილით და მწარე გინებას აყო-
ლილი, მკერდზე იბაგუნებს მარჯვენა მუშტს გას-
აყურებლად: „შენი დედა!..“

ექიმთან იყო. ექოთი და სხვა მრავალი თანამედ-
როვე რენტგენული ტექნოლოგიით გააშუქეს, შე-
ამონმეს და, გულისა არ არისო, დაუსვეს დიაგ-
ნოზი, ისიც დაურთეს, რომ „სუბიექტური მოვლენ-
ა“ და ზოგადად ცნობილ გულის წუხილს და და-
ვადებებს არ ექვემდებარება სამკურნალოდ... უბ-
რალოდ, გულის ფიცრის გაგლეჯა ყოველ დილ-
ით გაღვიძებისას, გინდა იგინე და იბაგუნე მუშტი,
თუკი რამეს გიშველის. ასეც შვრება და შემოტევას
იგერიებს... მართლაც ჭახანის ხმა სცოდნია გულის
ფიცრის მსხვრევას, სხვა სიტყვა ვერ მოუძებნა...

— გიო! — მოესმა თამროს ხმა, — ისე? — შემო-
ვიდა ოთახში და ლოგინზე ჩამოუჯდა, — გაგიარა?
— ხელზე ეფერებოდა.

— კი, — უპასუხა, — ხომ იცი, უცბად გადის ხო-

ლმე.

— რაღა მალე და უცბად... — ჩაილაპარაკა თამ-
რომ, — სტუმრები გყავს. ქეთი არის თომასთან
ერთად და გერმანელი ქალი მოიყვანეს, რეჟისორი.
ფილმს იღებს თბილისში... გაგიარა? — დაეკითხა
ისევ.

— კი... ხომ გითხარი, მოკლე შემოტევა აქვს, მაგ-
რამ მართლა მაგის დედა... მამსხვრევს. ყივჩაღის
დანარტყამი ხმალივით არის, — გაეცინა გიოს და
წამოჯდა, — კაი, გადი სტუმრებთან, გამოვალ...
ასეთი ომახიანი გაღვიძება ძირძველი ქართული
წესია და ადათი-თქო, უთხარი გერმანელს, — მია-
ძახა ოთახიდან გასულ თამროს. მის ღრიალს ნალ-
დად გაიგონებდნენ გვერდითა ოთახში.

კარგა ხნის წინ შუა აზიაში ბაზარზე ნაყიდი ტა-
ჯიკური ხალათი მონახა და მოიცვა. სარკესთან შე-
დგა ცოტა ხნით და დიდ ოთახში გავიდა, რადგან
სააბაზანოში სხვანაირად ვერ მოხვდებოდა.

— ჰაი! — თავის დაკვრით და ხელის აწევით მიე-
სალმა მრგვალ მაგიდასთან მიმსხდარ სტუმრებს,
— თამრო, ნუ მიბრაზდები, მოვნესრიგდები და გა-
ვეცნობი უკეთ ჩვენს სტუმარს. ქეთი, თომა, სალამი
თქვენ, — თქვა და სააბაზანოში შევიდა წყლის გა-
დასაველებად.

„ეს ჰაი! და ხელის გამართულად აწევა გიტლერ-
ულ მისალმებად არ მიიღოს ამ გერმანელმა ქალ-
მა... იმედი, არა“, — ფიქრობდა გრილი წყლის ქვეშ
მდგარი, რადგან ბავშვობის დროინდელი სათამაშო
„პულიმოტი“ გაახსენდა. საყვარელი, წითლად მო-
ელვარე ლულიანი, მიჯრით ხმამალა მსროლელი
მისი პირველი „იარაღი“.

IV-VII





ნატალი აბესაძე

ჰამლეტი-მანქანა

მინდა, მანქანა ვიყო.
ალარ მინდა, ვიყო ადამიანი.
მინდა, ვიყო მანქანა.
მომზებრდა სცენარი,
სადაც ველოსიპედით მიმავალს უცბად ვინმე გამიტანს
და ასფალტზე დაიღვრება თბილი ირმის სისხლი.
ალარ მინდა, მერჭობოდეს გულში შენი ხელები,
შენი თმები, თვალები.
მინდა, მანქანა ვიყო.
მინდა, დაუღლებლად ვმუშაობდე
და ისე ვმუშაობდე, არასოდეს არ მბეზრდებოდეს.
მინდა, რვა საათი წელში გამართულს ფეხის წვერებზე
ბედნიერებით შემეძლოს შრომა.
შემეძლოს ყოველ დილით მომართვა, ადგომა,
ორ სამსახურში, მერე კი — უნივერსიტეტში წასვლა
და ამას ღიმილით და
კმაყოფილი მზერით ვაკეთებდე.
მინდა, მანქანა ვიყო.
ალარ მინდა თვალმოშტერებული, გამხდარი შიში
ყოველ ღამე, ბალიშის თავთან.
ალარ მინდა, გულში მერჭობოდეს შენი ხელები.
მინდა, მანქანა ვიყო.

DANIEL

1
მე კი უკვე გადავწყვიტე, რა ხანია, გადავწყვიტე,
შენნაირი ვიყო.
შენნაირი ცივი, დელიკატური,
სწრაფი, გარუჯული ხელის მტევნებით,
თითებით, მბზინვარე თმას რომ ინევენ,
თვალებით,
პორტუგალიური
მზის შემყურე
და ასხლელი ნარბებით.
განრიგით, მხოლოდ შენი განრიგით,
დილა — ვარჯიში რომელიღაც ქვეყნის
რომელიღაც სასტუმროს პატარა ოთახში,
მკვრივი ნვივებით
მზე რომ ნაჰკიდებია,
მოუხელთებელი მყესებით.
და, აი, უკვე გადავწყვიტე,
შენნაირი ვიყო,
შენნაირი გამჭვირვალე და აქროლადი,
როგორც ქართული ღვინო,
რომელსაც მაგ ჭიქიდან წრუპავ
და ყბაზე ცბიერი ღიმილი გესერება.
ამხედ-დამხედავ დინჯი თვალებით
(პორტუგალიური
მზის შემყურე)
და ასხლელი ნარბებით.

2
იქნებ შენნაირი ვყოფილიყავი?
მწვერის კუნთებით და მყესებით,
რა მარტივია ასე ცხოვრება,
იქნებ შენსავით შემძლებოდა მთების შემოვლა,
იქნებ შენსავით გასხლტომადი ვყოფილიყავი?
მაგრამ მე ახლა ამ ლექსს ვწერ და
როზაცა
ვარდით
მეღება,
ჩემი ხელები ისეთი ფარფატაა,
შეიძლება, მდინარემ წაიღოს.
ვინ არის ქალი
ტუჩებზე თოვლის ფანტელით?
ვინ არის ქალი თავით გაზის ლუმელში?

3
მე კი მაინც გადავწყვიტე,
შენნაირი ვიყო.
ეს ერთადერთი გამოსავალია შენთან ომის მოსაგებად,
ეს ერთადერთი გამოსავალია
ბრძოლიდან უდანაკლისოდ გასასვლელად,
ეს ერთადერთი გამოსავალია
შენზე გასამარჯვებლად,
დანიელ.

მუსიკის ხმა ჟღერდა მიღმა სოლომონის თაღის...

მუსიკის ხმამ წაიღო სულის სიცარიელე
და ქალები ჩემს თვალწინ ერთნაირი ხელებით.

ცხოვრებასაც ველარ ვცვლი,
რადგან იმ სხვა ცებიდან
იბადება, საფრდება, მითვალთვალეს ცერბერი.
შენ კი სხვა რა მიიღე ალტქმული ფიცებიდან?
აგისრულეს უკვდავი სიყვარულის დატქმები?
ფიქრის დაოკება და ცოტა სამოთხე მინდა
მეტი კი არაფერი, მეტი კი არაფერი.

მე შენი ერთი შემოხედვიდან

არ მინდა, ვინცბოდე შენი ერთი შემოხედვიდან,
არ მინდა, შენს ხელისგულზე ექცეოდეს
მთელი ჩემი ბედნიერება,
ჩემი შეკონინებული სამყარო,
კოშკი, რომელიც ნახევრად გადახრილია
და მხოლოდ შენი ერთი შემოხედვა აკავებს
ჩამონგრევისგან.

ჰენახი

ალარ დაგეძებ და საერთოდ ალარ გეძახი.
მეუბნებოდნენ,
ეს არის ყვავილი,
ეს არის ვენახი.
ეს არის ცხოვრება,
რომელიც შენამდე,
ხომ იცი, ჩვენ ვნახეთ.
ეს არის სიმართლე,
ეს არის სინძინდე,
და ეს კი — შელახვა.
ალარ დაგეძებ და სიზმრებშიც ალარ გეძახი
და მივხვდი, რომ მე
ვიყავი ყვავილი,
თოვლი,
ვენახი.

შენ, სხვათა შორის

შენ,
სხვათა შორის,
ამშვენებდი
უნივერსიტეტის შესასვლელს,
როცა მეგობრებთან იდექი
და
გჭორავდით,
საქმე არ აქვსო
და მერე უნივერსიტეტიდან ნახვედი
და მერე ჯარში ნახვედი
და მერე,
ქვეყნიდანაც ნახვედი...

ჰოდა,
სულ მინდოდა, მეთქვა,
როგორ ამშვენებდი უნივერსიტეტის შესასვლელს,
როცა მუცელს მიხრავდნენ მელები
და ფეხებზე მეზმებოდა ორი მძიმე ბელტი
და მერე ჯარში ნახვედი
და მერე ქვეყნიდანაც ნახვედი
და მერე,
საერთოდაც,
ნახვედი...

ატლანტი

მხრებიდან უცბად ქვეყნის ტვირთი გამომეცალა,
ვიგრძენი შეება და იმედი გამომეცილა,
მჩაბე ვიყავი ღრუბელივით, დაეშვა წვიმა,
მხრებიდან თითქოს ქვეყნის ტვირთი გამომეცალა.
ახლა შემეძლო, შემომეველო ფრთებით ქვეყანა,
ახლა შემეძლო, მეგობრები რომ შემეძინა,
ჩამომწყდა ცრემლი და იმედი გამომეცილა,
მხრებიდან უცბად ქვეყნის ტვირთი გამომეცალა.

ვინ იფიქრებდა...

ვინ იფიქრებდა —
სკოლის ყველაზე ლამაზი გოგო გასუქდა.
ჯერ გათხოვდა, მერე კი გასუქდა.
ყველაზე ლამაზი გოგო, დედას გეფიცებით,
მთელი სკოლის გოგოები რომ
შურით და ბოლმით ვკვებდებით,
მთელი სკოლის გოგოები რომ ვოცნებობდით
მის აღნაგობაზე,
მის მბზინვარე თმებზე,
გრძელ, თვალმოუშორებელ ფეხებზე,
სალტესავით წელზე.
სკოლის ყველაზე ლამაზი გოგო,
მეტი რა გითხრა,
მეცხრე კლასში რომ იმის გამო თავი შემძულდა
და ერთხელ, როცა გამოიღმა და მესაუბრა,
ხმა ვერ გავიღე და იმაზე ვფიქრობდი მხოლოდ,
როგორ მინდოდა მისნაირი ტანი და თმები.
ღამე კი ფიქრი მაღვიძებდა, თანაც ასეთი:

მეც რომ მასავით კარგი ვიყო,
ვეყვარებოდი
იმას, რატომღაც ვინც ბავშვურად მიყვარდა მაშინ.
და მე, ვინც არასრულფასოვნებას
გულში ვლტყავდი,
ვმოგზაურობდი
ქვეყნის ფარგლებში და ან მის გარეთ.
სევდის ყურებას და შეგრძნებასაც ისე მივეჩვიე,
არ დავმალულვარ მის წინაშე ეკლერით ხელში.
მე ხომ სევდას ბავშვობიდანვე კარგად ვიცნობდი.
მე ხომ ისედაც მარტო ვიყავი.

ჟიზელ

ანდა, რატომ გასიზმრებდი მე იმ კაბებს,
რომ არცერთი არ ჩაიცვი...
და, არადა,
გაზაფხული ადგა გარეთ
თოვლს და სივრცეს.
შენ კი, ჟიზელ,
არაფრობას მიეფიცხე,
როგორც ცისკრის დამწველ ხელებს.
შენ კი, ჟიზელ,
მიპასუხე:
„მე არ ვიცი
სიყვარული
და ნურასდროს გამიხსენებ“.
მაგრამ, ჟიზელ,
ფიქალივით
შენს სხეულზე
ღრუბლები და გვირილები
ერთად თვლემენ.
რადგან, ჟიზელ,
შენ არ იცი სიყვარული,
ამიტომაც,
როცა მოხვალ,
გაგიხსენებ?

ღამეები სარუკავას ქუჩაზე

აი, დადნა უკანასკნელი
ფიფქი სარუკავას ბაღში.
ღამდება, ქლიავებს ცივი
ქარი დაუქროლებს თავშლით.
მუქი ლურჯი კაბა ქალის
გამოიკვეთება ბინდში,
ჭრიალი ნაძვის და ფიჭვის,
წვიმს და ზამთრის შიში.
დნება, დადნა უკვე ფიფქი
ბოლო
სარუკავას ნისლში.

ღანაე


და მე ავტირდი ჩემი ცხოვრების გამო
და ჩემს ცხოვრებას ჰქონდა არაფრის გემო.
დაშრიალებდა აკროპოლისში ქარი,
კართან ეყარა მჭკნარი ვარდების გამა.

და მოოქროსფრო ტოტებს ჩრდილავდა მთვარე
და მოიისფრო სანდლებს არწევდა ტალღა,
ხოლო კალთებზე მესვენა ზღვების გვამი
და მხრებზე მენვა დანაიდების დაღლა.

და მე ავტირდი ჩემი ცხოვრების გამო
და ჩემს ცხოვრებას ჰქონდა არაფრის გემო.
დაშრიალებდა აკროპოლისში ქარი,
კართან ეყარა მჭკნარი ვარდების გამა.

შოპა

დაფრინდი,
დაფრინდი,
დაფრინდი,
მსუბუქო ფანტელო
თოვლისა...
შენ გული წმინდა გაქვს
და წინ დევეს
ეკალი,
ვარდებს რომ მოისხამს.
შენ გული სუფთა გაქვს
და შინდის
ტოტებზე ჩიტები
გალობენ.
ეს სული ხმობს
ქრისტეს
მაშინდელ
სუსსში და წვიმაში
გამოზრდილს.
ეს სისხლი
ჰგავს ყვავილს,
საშინლად
რომელიც
სხეულზე ამოდის.



ზამთარში ახანარებული სიყვარული
ედგენება დომენიკოს და ანა-მარიას

როცა სიყვარულს ცოტა უკლია,
ველარ გაარჩევ, როდის გაეზი.
როცა შენ — ჯიხვი, ის კი ნუკრია,
ო, რა ლალია მაშინ ტაეპი.

როცა სიხარულს არა უკლია,
მაშინ ძნელია, არ გაიცინო,
მაშინ სევდა სულ არსად თუკია,
გერქვას ირაკლი, თუნდაც ციციწი.

გაზაფხულს როცა მარტი უკლია,
როცა საოცრად აძგერდა გული,
მაშინ გოგონა ნაღდი ნუკრია,
უნდა მიაღწეო მას თაიგული.

როცა სიყვარულს ნუთი უკლია,
ის ნუთი უნდა ჩავკლათ კოცნაში,
ჩვენი გამგებნი ნუთი თუკია,
ავახანძაროთ სუსხი მე და შენ!

მლოცავი ნაქვი

სალოცავთან იდგა ერთი ნაძვი.
იდგა კაციც — ტანზე ცოტა ეცვა.
მძლავრი ქარი ყოველივეს გლეჯდა,
არ იცოდა ეკალი და ძენა.
სალოცავთან იდგა ერთი კაცი...
ჰოი, არა! ქარი აღარ შეწყდა!
იდგა კაცი მარტო, როგორც ნაძვი, —
ტანზე მხოლოდ უფლის რწმენა ეცვა.

სიყვარულის კოქტეილი

ჩაასხით სულის ჭიქაში
დიდი დოზით ყურადღება და სიტბო,
აანჯღრით მზის ენერგეტიკულ სასმელთან ერთად,
დაამატეთ უხვად სიხარული, ხალისი და კისკისი;
ოდნავი სევდა მარილის ეფექტისთვის,
ოდნავი სიცივე, როგორც პატარა ყინულის ნატეხი,
რომელიც მალევე ჩაღვება
და მხოლოდ სასიამოვნო სიგრილეს შესძენს
კოქტეილს,
რომ მწველმა გრძობამ გულები
მთლად არ გადახრუკოს — მიირთვით
კაფეში სახელად „სულის ოაზისი“.

ჩვენება

უხილავი ბურთი
მქონდა ერთი ნუთი.
ქიშკრული სახე
იმ საღამოს ვნახე.
მიჰყვებოდა ფიქრის ფქვილი საცერს,
შევეჩვიე უგულობის „აცრებს“.
იმ ღამით უფალს შეეხვდი,
მშვიდი ყოფილა ღმერთი.
ეს პაემანი შედგა
და მიხარია მე, და
სამწუხაროა, რადგან

ხშირად ვერ ვრჩებით ერთად:
მე...
უფალი...
და
მარტოობა.

თოვლი

საკუთარი ნაბიჯების ხმა მართობს,
ვერაფერი ვერ გავუგე მე ამ თოვლს.
მაინც, საიდან მოდის?
ასეთი თეთრი? როდღე
არის სხვა რამე კიდევ, —
მხოლოდ თუ ზეცის კიდევ.

პარდისფერი სათვალე გატყდა

რა ყოფილა ეს სიყვარული —
ჯერ აგიტაცებს, აგტყორცნის ცაში,
ბოლოს გადაგჩეხავს უძირო ხრამში.
და ამასობაში
იკარგება შენში ბავშვი,
რომელსაც ყველაფრის სჯეროდა...

მეოცნება გომონები

თუ რომანტიკულნი ვიყავით მაშინ,
ცხოვრობდა ჩვენში სათუთი ბავშვი.
რატომ უნდა ჩავგიკლან?
პეპელა — ჩიტები გვიფრენდნენ თავში,
ხელში კი გვეჭირა სიცოცხლის საშვი —
რა ვარდისფერი იყო ცხოვრება მაშინ!
ჩვენ ისე ვბრუნდებით ჩვენს თავთან, სახლში,
როცა სიყვარული ღამაზ ფრთებს გაშლის,
ისევე გაიხარებს ჩვენში ის ბავშვი.

უსათაურო

წვიმისფერია ღამე, თუ ღამისფერია წვიმა?
ახლა ჰაერიც სულმთლად გამხდარა წმინდა.
ზეცას აცვია ღრუბლის ქათქათა წინდა,
თუმც კი მანამდე ქალაქში წვრილად ცრიდა.
გადაიკარა, ტაროსიც ხარობს, გვინდა,
გაგვისუფთავდეს გულებიც, გახდეს წმინდა.
ზეცას აცვია ღრუბლის ქათქათა წინდა...
ლოცვად რომ ვიქცე, უფალო, როგორ მინდა!
გუშინ კი ოი, როგორ უწყალოდ წვიმდა!

მიგააკვლოვის ფანოზი

მიმბაძველობა რა ფენომენია? კარგი თუ ცუდი?
გააჩნია, ვის ბაძავ.
ავტორიტეტები ნუ გვეყოლება,
რადგან, როგორც უფალი ბრძანებს,
ვინც ადამიანს მიენდობა, ცოდო იქნება.
ადამიანი ზედმეტად მცირე არსებაა იმისათვის,
რომ მუდამ გაგვიმართლოს იმედები.
განა, საკუთარ თავსაც არ ვუცრუებთ იმედს?
ამიტომ, მხოლოდ იესო გვყავდეს ავტორიტეტად
და წმინდანები. წმინდა პავლემაც ხომ გვითხრა:

მე მომბაძეთ ისევე, როგორც უფალს მივბაძე მეო.
აი, ტრანსფორმაცია — იყო სავლე, გახდა პავლე.
ცრუ ავტორიტეტების, კერპების ძიებაა ფუჭი,
ანუ მოდას აყოლილობა, თორემ
უფლის მიბაძვას რამე შეეძლება?
გიხაროდენ, თუ ამ გაგებით ხართ
„წამხედურები“.

ეს ქალი

ეს ქალი მაცდურია არამაცდურობით,
რწმენა არასოდეს ეკარგება,
სჯერა, სიყვარული გაცვდა როდღე,
უბრალოდ, ზოგჯერ მოდის ნება-ნება!

ეს ქალი იდუმალია, როგორც არავინ,
იტყვის ყველაფერს, არ იტყვის მთავარს,
არავინ დაუდის ქალს ავან-ჩავანი... —
მისი სულის რიდე ბევრ რამეს მალავს.

ეს ქალი არ გეტყვის არაფერს ისეთს,
რომ შენი ღირსება სულ ოდნავ შელახოს,
ო, თუ ხარ კაცი და ო, თუ გნამს ქრისტე,
მარად გეყვარება, მას ხელს ვერ შეახებ!

ეძიე ქალი, და გიყვარდეს ეს ქალი,
რადგან შენი ბედი ეს არი, ეს არი.

ბედნიერი მარტოსული

იმდენმა მეგობარმა გამიცრუა იმედი, რომ
ლამის, ყველა ალბომი გადავადლო.
მაგრამ, რა ვუყოთ მოგონებებს?
განა, ისინი მემეტება გადასაყრელად?
ანდა, საუკეთესო პერიოდებს?
ცხოვრების ტკბილი ალბომიდან ხომ არ
ამოვგლეჯ სტუდენტობას,
ან პირველ, დაუვიწყარ სამსახურს,
ანდა, პირველ აღფრთოვანებას?
მეორეს მხრივ, თავის დამშვიდებაც შეიძლება:
მთავარია, როგორ ვიყავი და არა — ვისთან ერთად.
მე ხომ გული სიყვარულით და

სიხარულით მქონდა სავესე?
მე ხომ მიყვარდა? ხომ შემეძლო მეგობრობა?
ჭილაძის „ბედნიერი ტანჯული“-ვით ვარ.
მე ხომ გავიარე ეს ლალი ხანა?
მე ხომ ვიცხოვრე იმ სამოთხეში,
მოყვასის წრფელი სიყვარული რომ ჰქვია?
როგორი ბედნიერი, უანგარო და თურმე,
მარტოსულიც, ვყოფილვარ,
რადგან ჭადრის ხესავით,
ფოთოლ-ფოთოლ, მომაკლდნენ მეგობრები.
და დამიზამთრდა...
ახლა, ღმერთი როგორი მარტოსულია, —
მას ხომ უკლებლივ ყველამ გაუცრუეთ იმედი?!
და მაინც როგორი სხვანაირად, მიუწვდომლად
ბედნიერია უფალი ჩვენი.
მახსენდება ირაკლი ჩარკვიანი,
რომელმაც თქვა, რომ რაც უფრო
ახლოს ხარ ღმერთთან, მით უფრო
მარტო ხარ.

უსიყვარულო დროება

ღვთის გლახასავით იდგა ამური
და ხელი ჰქონდა ბედშავს განვლილი;
ენატრებოდა დრო საამური,
როცა არ იყო სულმთლად მანძილი

ერთი გულიდან, ო, მეორემდე!
ჰო, სიყვარული მეფობდა მაშინ!
ღმერთო, რამდენ ხანს, ღმერთო, როდემდე?!
დე, იშვას ჩვენში ნამდვილი ბავშვი,

რომელსაც უნდა მხოლოდ ამური,
არა იმდენად ანმყო გლამური,
არამედ სიტბო, ო, საამური.

შეყვარებული ნარცისი

გადაცისფრდა შავი ზღვა და
ეკრანიც და თეთრი თოვლიც.
მან, ნარცისმა, როგორც იქნა,
შეიყვარა ტელეფონი.

შეიყვარა მისი ხმა და
საუბარი, ჩაცინება!
ახლა, მგონი, ცოლად ითხოვს,
თუ იქნება „ქალის“ ნება.

„აბა, ქალიც შენ ყოფილხარ,
თვით ნარცისმა შეგიყვარა!“ —
აქეზებენ დობილები —
„ხომ არ ეტყვი, კარგო, არას?“

და ეს გრძნული ამოფრქვევანი გაზაფხულთა და შემოდგომათა,
 ყველა მომხდარის ამრეკლავ და თან მომავლისკენ მიქცეულ
 ზამთრის უთეტრეს სარკეებით ნავიგირფინები,
 ადგენდა დრო-ჟამს არსებობის მძლე ტრიუმფისას, რომელიც მარად სადღაც დიოდა,
 მაგრამ ისეთი შეუცვლელი სიტუფიტი ენთო, რომ ჩვენ გვეგონა —
 ადგილზე იდგა...

...
 მაგრამ ყოველი სრულყოფილება, თუნდ თვითონ მარად უცვლელი იყოს,
 გარემოცვაზე მარადიულ ზემოქმედებით მის განუწყვეტელ ცვლილებებს ინვესს,
 რითაც გულისხმობს დროის დინებას;

ხოლო ყველაფრის ამრეკლ მზერათა ყოველი შეცვლა
 თვით ამ უცვლელი მარადიული სრულყოფილების გარდაუვალი ცვლილებებია;
 რადგან არასგზით არ შეიძლება დაბერდეს სარკე,
 ხოლო სარკეში არეკლილი მხარეები კი დარჩეს ნორჩი და დაუჭკნობელი;
 მაშასადამე, სრულყოფილება, თუნდ შინაგანად გაუზზარავი, მაინც ძველდება და
 მქრქალდება გარემომცველი მომწესხავი სამყაროების
 შეერთებულ მგრძნობელობაში,
 და მის ნიაღში დროის მარადი, გარე მზერისთვის მიუწვდომი,
 მაგრამ სრულიად შეუქცეველი შინაგანი სვლა მიმდინარეობს;
 და ზედმინვენით ასეთივეა ყველაზე დიდი სრულყოფილების —
 აბსოლუტური სამყაროს ბედიც —
 დროის გვირაბი მას კიდოდან კიდემდე გასდევს!

შეცბა სიცოცხლის დიდი მდინარეც —
 აბსოლუტური დროის ზეცაზე საშუადადო მერიდიანის გადავლის შემდეგ
 მოლლილი დისკო დაქენა დასავლეთისკენ;

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მდინარემ დიდმა
 უზარმაზარი ტრაექტორიის ეკვატორი გადაიარა და ცხადად იგრძნო, რომ
 გასავლელ სივრცეთა მიღმა გარდაუვალად მიადგება დიად შესართავს;
 გზა უსაზღვროა მარტოდენ მის დანყებამდე, ხოლო როდესაც
 უხანგრძლივს აწონ-დაწონით გამგზავრებას მაინც გადაწყვეტ,
 გზის უმცირესი მონაკვეთის გავლის უმაღვე
 გზის დასასრულიც ამდენითვე მოახლოვდება;
 უსაზღვროდ დიდხანს თუ გსურს რბოლის გახანგრძლივება,
 ეს შეიძლება ერთადერთ სახით — მარადიულად გადასწიო მისი დანყება
 და არასოდეს ჩართო საათი;

ჩვენ კი მოვკვეთთ გადაწვეთ უგრძესი ჟამი,
 პირველი სუნთქვა მივაძვინებთ დაქნულ ალამს; ჩვენ დავიძარით,
 გავეყვით ბილიკს და ამის შემდეგ ჩვენი საათი, ვით გაცრილ ქვიშას —
 მარცვლავს მწკრივებს გასავლელ წამთა;

აქ შეჩერება აღარ იქნება — უგულგრილესი გრავიტაცია
 მარადიულად შეუწყვეტელი მდგრადი დანოლით აჩქარებულად მიაქანებს
 რბოლაში ჩართულ ყველა სულდგმულს მოახლოვებად დასასრულისკენ;
 ჩვენთა ყოფნათა უსასრულოდ განფენილ ველზე დრო-სივრცემ
 უკვე დასვა ნულ-პუნქტი: ჟამი, როდესაც არჩევანი ჩვენ გვეკუთვნოდა,
 ჭდის იქით დარჩა: ჩვენ უკვე მივქრით;

ჩვენ შესაძლოა გასავლელი ცოტალა დაგვრჩა — სამაგიეროდ განვიცადეთ
 არსებობის მშვენიერება, ამოფრქვეული სიზმართა და
 სინამდვილეთა ურთიერთშეჭრილ ლურჯ შადრევნებად;
 ჩვენ დავტკბებით ჭვრეტით, ქმედებით, განცდით, წვით, განგაშებით,
 ჩაძირვებით, სვლითა თუ ქროლვით, გარემოჯარულ ხილვათა სპექტრის ყურებით,
 ხატვით, ათვისებით და გააზრებით;

ჩვენ გამოვედით მარადიული არსებობის ერთფერობიდან და
 უსაზღვრობის დროებითი მოჩვენებითი დათმობის ფასად
 ვნახებთ სიცოცხლის ჭრელი ველები;
 ჩვენ შორს, მყობადმი მინიშნებულ ფარულ ჭდის იქით არასოდეს არ გავკვივებენ,
 სამაგიეროდ აქ განცდილი ზღვა შეგრძნებების საოცარი ფეიერვერკი
 ჩვენი მარადი კუთვნილებაა;

ვერ წავალთ უკან მოტოვებულ სიმარადეში, მაგრამ
 რაც ჩვენ ამ აყვავებულ დრო-ჟამში ვნახეთ, ისე ძვირფასი შენაძენია, რომ
 ეს ალაფი ყველა დანაკარგს დაჰფარავს დიდი გადამეტებით;
 ხარობს მდინარე სიცოცხლისა — მისმა ტალღებმა ჩაუარეს
 ყოფიერების უწარმატავეს სანახაობებს, და არა მარტო ცქერით დატკბნენ —
 უსასრულოდაც ინებიერეს მის მწველ ზვირთებში;
 იგი ქვემოწელს უახლოვდება — მაშასადამე გამოვლილი ტრაექტორია
 მისი დავლა და მისი სულის ნაწილად არის გადაქცეული;
 არსებობს დიდი შესართავი? დე, არსებობდეს! სულის უგრძესი მდინარება,
 რომელსაც იგი დაუდებს საზღვარს,
 უმაგალითოდ მშვენიერია და დასასრულსაც გადააქცევს მშვენიერებად!

...
 და მაინც, განა დასაშვებია, მძღავრი მდინარე განუყოფელად,
 ერთიან თქეშად გადაეშვას დიად უფსკრულში
 და ისე გაჰქრეს, თავისთავი არ გაიზზროს?

არა და არა! ოკეანე არარსობისა თუმცალა დიდი უსაზღვრობაა,
 არც მდინარეა უსაზღვრობა მასზე ნაკლები,
 და იგი არც ერთ ოკეანეში არასოდეს ჩაინთქმებოდა,
 მისსავ შინაგან ამონურვას რომ არ დაეცხრო;

ის დასასრულზე არასოდეს დათანხმდებოდა, არ მოანერდა ხელს მკაცრ განარჩენს,
 შეიძლო, თუნდაც გრანდიოზულ აჯანყებამი ეცადა ბედი და
 უზვიადეს უკუქცევით საკუთარ სვე-ბედს შეჯახებოდა,
 თუნდაც ამნაირ შეჯახებას თან მოჰყოლოდა სამყაროთა უსაზღვრო ნგრევა
 და ყოველნაირ სინამდვილეთა აბსოლუტური გაცამტვერება;
 მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჟამი გავიდა:
 დიდმა მდინარემ თანმიმდევრულ მდგომარეობათ უვრცესი მწკრივი გამოიარა,
 და რაც წინ დარჩა, ისიც მისივე წაურთმეველი კუთვნილებაა;

არ შეიძლება საკუთარი თავი შეიცნო,
 თუ გარდაუვალ ქარიშხალთა თავსდატეხვა არ განიცადე;
 არ შეიძლება გადალმეთის მხარეთა ხილვა ბოლო კედელთა დაუღუნავად;
 მაშასადამე უნდა ასრულდეს, რაც სივრცეებმა ჩაიფიქრეს
 ჯერ კიდევ პირველქმნადობის შუქზე —
 მდინარე უნდა გაემართოს შესართავისკენ!

მაგრამ ის ნავა არა ერთიან — ჯერ დაიყოფა ტოტებად და განშტოებებად,
 რათა ყოველი იმათგანი საკუთარ გზებით გაემართოს
 ყრუდ მოდგანდაგარე მომავლის გადასაკვეთად;
 ისინი ახლა მიმდევრობით განეყოფიან დედამდინარის ჩამოქნილ სხეულს,
 პარალელურად და ერთიანად შეებმებიან ველს უზარმაზარს,
 თანდათანობით მძლედ გაიშლებ-განივრცობიან,

და, შესეულნი ვეება დაბლობს, იმნაირადვე შეერთებინ
 არარსებობის მარადმდუმარ დიდ ოკეანეს,
 ვით ზეცას ერთვის უმძღავრეს ხის ზვიადი ვარჯი —
 დაშლილი უთვლელ შტოდ და ტოტებად...

...
 როგორ დაიყოს არსებობის დიდი მდინარე,
 რა ფერადები გამოარჩიოს უამრავი საგანძურადან,
 რა მიმდევრობით და რა დოზით დათმოს, დატოვოს უთვალავი მონაპოვარნი?

...
 წინ წავინაცვლოთ, გამოვტოვოთ გასავლელ სივრცის ნაკვეთი გრძელი,
 დავდგეთ დელტაში,
 მივმართოთ მზერა არარსებობის ოკეანის სანაპიროს პარალელურად;
 ვნახოთ ტოტები მდინარისა, განწირულის გამბედაობით რომ მიილტვიან
 შეუცნობლისკენ და იდუმალთან შესაყრელად ემზადებიან;

უთვალავია მათი რიცხვი, დაუქსელიათ ვრცელი ზადისებრ დიდი ზეგანი,
 და საოცარი მოწყურებით რაც უფრო მეტად წინ მიილტვიან,
 უფრო და უფრო წვრილდებიან, იტოტებიან;
 ის, ვინც ბინადრობს რომელიმე მათგანის ახლოს,
 იცნობს მარტოდენ ამ ცალკეულ ტოტს, მაგრამ არ იცნობს მის ისტორიას
 და არც სხვა ტოტებს არასოდეს არ შეხვედრია;

ეს ცალკე ტოტიც, თუმც ასრულებს საწყის ჩანაფიქრს —
 დედამდინარის საერთო არსის მისაგნებლად გამოიკვილონ თავისი თავი
 გარემოსთან მიმართებაში —
 თანდათანობით უნებლიეთ იფიწყებს წარსულს,
 მკრთალდება მასში ისტორიის ნიაღებდან გამოყოფილი შორი ნათელი,
 რომლის შუქზედაც უნდა ევლო სიცოცხლის ბოლოს;

და ჰქმნის საკუთარ გრავიტაციის სულ ახალ ველებს ვეება დელტა,
 და წარმოგზავნის ახალ კანონებს, თუმცა კი ყველა ამათგანი შესაძლო არის
 წინა ველებში იღებს სათავეს
 ეს კვლავ იგივე მდინარეა, მაგრამ ამავე დროს
 ეს აურაცხელ ცალკე მავალ სუსტ ნაკადების კონგლომერაციც არის აგრეთვე...

...
 აგერ, ის მსხვილი ძლიერი ტოტი, ტალღებს მრისხანედ რომ მიაქანებს,
 ძველ ჩანაფიქრით სიყვარულის შესატყვისია;

მასში ფერები ტყდება და კრთება, თვალისმომჭრელად კიაფობს სივრცე,
 მომჯადოები კენჭები და ჭრელი თევზები მზერას ჯერ კიდევ ატყვევებენ,
 მაგრამ ამასთან —

ეს გვიანდელი სიყვარულის ნაკადებია, სადაც არ გრავინავს მაისების ჭექა-ქუხილი,
 არც უნაპირო ვნება თარეშობს,

არამედ სივრცის სილამაზით წყნარი ტკობაა უპირველესად;
 თავგანწირული აღფრთოვანების, ტრფობის საგანის სიყუქმდე თავყვანისცემის,
 ღამეთა ტეხვის, ველად გაჭრის, უმთვარო ველზე მოკაშკაშე კოცონთა ნთების
 და უსასრულო თავდავიწყების ჟამი ამკარად უკან არის მოტოვებული;
 არავინ იცის, ოკეანის სანაპირომდე კიდევ რამდენი მძაფრი ფერი გაჰქრება ტოტში
 და მათ სანაცვლოდ რამდენი მშვიდი და შეფარული სილამაზე გამომჟღავნდება;
 ეს, რა თქმა უნდა, სამყაროა ისევ იგივე —
 ულამაზეს მშვენიერებად სიცოცხლეთა გადამსარკავი, მაგრამ სხვა მზერით,
 სხვა კუთხით და სხვა წერტილიდან;

აქ სიჭაბუკის მჭექარი ჟამის ვნებათა ძალა და ფერები გატაცებათა ისე სხვაა და
 იმნაირად არის შეცვლილი, შესაძლო არის მოჩვენოს გარემაცქერალს,
 რომ მდინარეა ამ ტოტისა ჰგავს არა ოდენ მჭქეფარებას სიყვარულისას,
 არამედ მისსავ თანდათან ქრობას...

...
 მეორე ტოტი — შემეცნების მძღავრი ნაკადი — უხვად შერჩენილ ენერგიით
 ჯერ კიდევ უტევს, აზნაზარებს შეუცნობლის გარსს,
 მაგრამ პირდაპირ კვეთების ნაცვლად ის ხშირად ცდილობს შებრძოლებას
 შემოვლითი გზით, ალყის შემორტყმას, სანგრების გათხრას;

იმის ნაცვლად, რომ ააფეთქოს გარემომცველი სინამდვილე უქცარ დარტყმით,
 ის ანანევრებს ერთიან მთელს ფრავმენტთა წყებად,
 მერე კი იკვლევს ყოველ იმათგანს, და დაქსაქსული მისი რაზმები თუმცალა
 ურიცხვ დეტალთ აგნებენ, უჭირს იმათი შეერთებით ბოლომდე ჩასწვდეს მას,
 რაც გულდასმით შესწავლის მიზნით ურიცხვ ნაწილად დაჰყო დროებით;

იგი ღრმად შიფრავს ყველა განზრახვას, რომ დაუმალოს
 მძღავრ მეტოქეს თვისი მიზანი, და ამით მარტო მას როდი აბნევს —
 ძალიან ხშირად ამ შიფრთა კოდი ავიწყდება ხოლმე თვითონაც;
 და თუმც ეს ტოტი შორს, შორს წავიდა შემეცნების ეკლიან გზაზე, უკან ეგება
 ვერც კი დაბრუნდეს, რათა დასკვნები წარუდგინოს ბრძენ მთავარბანაკს;
 მაშასადამე, შესაძლო არის ჩასაფრებულ გარემაცქერალს წარმოესახოს
 ეს ფერთაცვლა შემეცნებისა მის განუწყვეტელ და წყნარ მილევად.


...
 მესამე ტოტი — სიმართლისთვის ბრძოლის ნაკადი —
 ისევ აგრძელებს ინერციით დროშების ფრიალს, მაგრამ იმისი ასპარეზი —
 სიმართლის ცნება — თანდათანობით წანვერდება აურაცხელ სახესხვაობად;
 თუ დასაწყისში ის ესწრაფვოდა აბსოლუტურ და წმინდა სიმართლეს, დღეს,
 თითქოს მისი არსებობის დაჰკარგა რწმენა,
 ან დააფიქრა საბოლოო მიზნის სიშორემ —

ის უკვე იბრძვის ცალკეულ ჯგუფთა და ფენათა სიმართლეების,
 სიმართლის — დროის და სივრცეთა მცირე უბნებში —
 დასადგენად და გასამარჯვებლად;

ის ახლა იცნობს პირობითი სიმართლის ცნებას, სიმართლის — რალაც ვინრო აზრით,
 კერძო გაგებით, რომელიც ეგებ ბევრი ვინმესთვის ერთ პირობებში
 შეადგენდეს ჭეშმარიტებას, მაგრამ სხვებისთვის — ზუსტად ამავე დროს,
 ან პირველთათვის — სხვა პირობებში, იყოს პირიქით,
 ჭეშმარიტის გამომრიცხავი.

რაც შეეხება აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ის შესაძლოა ჯერ სრულიად არ დაინყებია,
 მაგრამ მდუმარედ მიაკუთვნებს უკვე მარტოდენ მსჯელობათ სფეროს;

ეს ტოტი, უკვე საკმარისად შესუსტებული და დაქსელილი, ადგენს პირობებს,
 „სამართლიანს“ სივრცის სულ უფრო მცირე ფართებზე,
 დროის სულ უფრო შემცირებულ მონაკვეთთათვის,
 ხოლო სრულიად სამყაროულ დონეზე უკვე მის წარმატებებს აღარავინ მოიხსენიებს
 და საერთოდაც არ განიხილავს;
 მაშასადამე, გარემაცქერალს სულ თავისუფლად შეუძლია წარმოიდგინოს,
 რომ სიმართლისთვის სიცოცხლეთა გარიჟრაჟიდან დაწყებული მედგარი ბრძოლა
 უკვე დაწრეტის სტადიაშია.





შალვა საბაშვილი
დელტა

...
მეოთხე ტოტი მშვენიერის სვეროდან მოდის, აგრძელებს კიდეც ნატიფ ძიებებს ფერის და სიტყვის, ბგერის და ფორმის მრავალგვაროვან განლაგებათა ხშირი აგებით; იგი იჭრება სინამდვილის უღრმეს ფენებში, წამოშლის მიძინარ გრძნეულებათა ურიცხვ ურდოებს, იღებს ფოტოებს ან თვით აგებს უახლეს წყობებს, რომ განცვიფრებულ მაყურებელს წარმოუდგინოს მოსახიბლად და წარსატყვევენად; მაგრამ, თანდათან, აშკარაა, ის ჩასწვდენია, რომ ბუნების და სინამდვილის ყველა უჯრედი შეიცავს უფრო მეტ სიღრმეს და მშვენიერებას, ვიდრე ის, რასაც ერთად შექმნიდა თუნდ უთვალავი ხელოვანის ალტაცებული ვნებათაღელვა და აღზნებული წარმოსახვანი; ეს იმას ნიშნავს, რომ სინამდვილე აღემატება ხელოვნებას და შემოქმედნიც სხვა კონსტრუქციებს ამაოდ ქმნიან: საკმარისია სამყაროთი პირდაპირ ტკობა; ამნაირად კი მშვენიერის ძიებაც წყდება, თუმცა შეგიძლია სხვაგვარადაც ვთქვათ — იგი გადადის გარეჭვრეტაში.

...
მეხუთე ტოტი — ღმერთისაკენ მსწრაფი ნაკადი, უხსოვარ დროდან დასს რომ იკრებდა, ისევ და ისევ მიუყვება სივრცის უღრანებს; მაგრამ ის ადრეც, ჩასახვიდანვე იტოტებოდა განუწყვეტელად; და იქმნებოდა: ცეცხლის საუფლო, კერპთა მწკრივები, მითების ზეცა,

დიად ღმერთთა ოლიმპოს ტახტი; მოვლინებანი: ბუდა, ქრისტე, მამუადი, სხვანიც, წინასწარმეტყველთ პლეადები, დოგმათ ნუსხები, ეკლესიები, მეჩეთები, სინაგოგები, მზერის კუთხეთა უღვევლი სხვადასხვაობა; სული კი — ერთი, ერთადერთი მთელ სამყაროში, ეძებდა თავის საკუთარ ბილიკს, ის თავსმობფეულს ვერრას იტანდა,

ამიტომ მუდამ თვით ფერავდა მისეულ სივრცეს; ახლა, მით უფრო, ოკეანის სიახლოვეში, უდიადესი საიდუმლოს მოახლოება ამ ფიქრიან ტოტს კიდევ უფრო ფიქრიანსა ხდის; ყველა ოდესლაც უმყარესი შეგონებანი არარსებობის საზღვრის ახლოს ფერმკრთალდებიან და ვერ უძლებენ გატარებას რწმენის საცერში; არსი, ეპოქებგამოვლილი, თანდათან ამჩნევენ, რომ ყოველივეს დასაწყისი და დასასრული თვით მასშივეა — მის სულზე გადის სამყაროს ღერძი;

როდესაც იგი გადასცდებდა მარადულ მიჯნას, შესაძლო არის ჩამოიქცეს სამყაროული ყოვლადობის მტკიცე თალები და წაილეკოს სვეტების წყება; ასე თუ ისე, ყოველივე, რაც კი აქამდე აგებულია, შესაძლო არის მარტოდენ წმინდა სქემა, მოფიქრებული ყოველი არსის მისაყვანად დასაწყისიდან დასასრულამდე;

ამგვარ ეჭვებით იმოსება მეხუთე ტოტი და ნაწევრდება დაუსრულებლად და მაცქერალსაც მოეჩვენება, რომ მათი ძალაც და მიზნებიც თავდაპირველნი ირგვლივ მოფენილ თეთრ ქვიშაში ჩასაკარგავად ემზადებიან.

...
მეექვსე ტოტი ..., მერვე ..., მეცხრე ..., მეუთვალავე ..., მათი დაყოფა სულ ახალ და ახალ ტოტებად, ნაკადებად, ქვენაკადებად... და განვივრცობა თანდათან დელტა, და რკინისებურ გარდუვალობით დედამდინარის ეს უშქარი დანაყოფები ავსებენ სივრცეს, ხრამავენ ველებს, ქმნიან სულ ახალ კალაპოტებს და განუწყვეტლივ მიისწრაფვიან არარსებობის ოკეანისკენ.

ერთი დიადი აურაცხელ მცირედ იქცევა, ჯამი იშლება ნაწილების ერთიანობად, მაგრამ შედეგი არ უდრის საწყისს; თავდაპირველი დინებათ ვერ მიაღწევს ოკეანემდე; მივლენ კი, მაგრამ იქნებიან ისე შეცვლილნი, თავის არსს ველარ გაიზრებენ. ვეება დელტა — ხის უფრცეს ვარჯად გარდაქმნილი დიდი მდინარე, შეუერთდება გარდუვალად ოკეანესაც, და ისე ძლიერ შენელებს ყოველი ძაფი ოკეანესთან, რომ ვერავითარ იმპულსს მას ის ველარ გადასცემს:

არც ეს ძაფები დაკარგავენ ამ დროს რაიმეს, ვერც ოკეანის ნაპირები შეიმატებენ. და უფრო მეტიც — ვერგინ ვერასდროს, ვერანაირი ტელესკოპით ვერ აღმოაჩენს ოკეანის და მდინარის საზღვარს... ჩაკეტილია ის ჰორიზონტი, რადგან არავინ მისი გარე მაცქერლებიდან არ ჰვლობს იქამდე მისაღწევ მზერას;

დიდი მდინარე ოკეანეს უახლოვდება, მაგრამ თანდათან ყველას მზერის ფარგლიდან გადის, რათა აღმოჩნდეს უდიადეს სიმარტოვეში; ის გარდუვალად შთაინთქმება გრძნეულ მიჯნაზე, მაგრამ ვიდრემდე მიაღწევს მიჯნას, ისე ძლიერად გარდაიქმნება, რომ თავის შთანთქმას ველარც შეიგრძნობს, რადგან იმ წამში აბსოლუტური არსებობიდან გადაინაცვლებს რელატიურ არსებობაში და საკუთარ თავს დაეკარგება...

...
შამი კი გადის, გარდუვალად მიმდინარეობს, თუნდაც ოდესმე სადმე შეედედეს, სინგულარობის მიერ ტყვექმნილი...
...
არარსებობის უგრძნეულს ოკეანესთან გარინდულია ვეება დელტა...

რეზო თაბუკაშვილი ჩრდილის მაქებარი მზე

ფრაგმენტი
მომავალი
მოთხრობიდან

დასასრული

— ხმალებილა ვეფხვი ბავშვობის მეგობარია ჩემი. რომელიღაც წიგნში ვნახე პატაროხისას და მერე თანამგზავრად მყავდა მოგონილ თავგადასავლებში... — რალაცას იხსენებდა, — ძალი კი არასდროს მყოლია... თუმცა, იყო ერთი... კახეთში მიწვედა ყოფნა ბოლო წლებში. ყოველ დღით ტალებიკენ მივდიოდი, ოთხი-ხუთი კილომეტრის გავლის მერე, თუ გამიმართლებდა და კარგი, უბინდო ამინდი დამხედებოდა, ალავერდს ვხედავდი გამამწვარი ყანების თავების მიღმა... უთხარი, რაც არის ალავერდი, — თამროს მიმართა თარგმნისას, — ჰოდა, ვიცოდი, სადაც მეგულებოდა მისი გუმბათი, მაგრამ ხშირად კარგ ამინდშიც ვერ ვპოულობდი, მემალბოდა, თავის ნებაზე იყო... ეხლა კი იქამდე მისასვლელ გზაზე გეტყვით... სოფლის ბოლო მოსახვევს რომ გავცდებოდი და კილომეტრზე მეტი მარა რომ მქონდა გასასვლელი, ძალებიხსნივდა მისხროვანად გზას, ადგილობრივ ბანდად გადმომდგარი, საკუთარი ტერიტორიის დამცველი, ბოროტად ალესილი შორიდან „მომღიმატი“ კბილებით. მიტოვებულ, ჟანგმუჭმულ და ლობემონგრეულ ეზოს იყვინენ დაპატრონებულულები. ჟიგანად და ბელადად კავკასიური ნაგაზის რალაცასთან ნაჯვარი ჯანიანი და ავად მომზირალი ძალი ედგათ სათავეში. ძალებს არ ვიცნობ, ხომ ვთქვი, არ მყოლია, მაგრამ ვიცოდი, რომ შიში არ უნდა ეგრძნოთ... გამოვინდი ჩემი ჯოხით ხელში და ერთ რიტმში ნაბიჯით დავიძირე ტალებიკენ. ისინიც წინ დამხედენ თავიანთი მეთაურით, გზას მიღობავდენ... სოფლის მოსახვევში ჯუჯების ოჯახი იყო, კარტს თამამობდენ მათ ქიშკართან, ჯოკერს, სოფლელები. არ ნახვიდე მარტო, მითხრეს ჩავლისას, გამაფრთხილეს... ნაგლად დავანევი და გავიარე ძალებს შორის. არ შემეძინა-მეთქი, როგორ ვიტყვი, მაგრამ მათმა ბელადმა, სულ წინ რომ იდგა, თავის გაქნევით ანიშნა ხროვას, გაატარეთო. შეიძლება, მე მომეჩვენა, მაგრამ მგონი ნაჩუხბარი სუნიც იგრძნო ჩემგან, ტალებიკენ ვიყავი გასავლელი. მთელი კვირა ვიარე ასე ყოველდღე: ალავერდი ხან დამენახებოდა, ხან არა. ძალებიც მატარებდენ. ერთ დღესაც, გამოვუხვიე სოფლის ბოლოს და შორით დგას მარტოდ დარჩენილი ნაგაზი-ბელადი „სეიტას“ გარეშე. ეტყობა, სოფელიამ ამოუხოცა, მან კი, კალვერასავით, „და-და და და-დან დადა! ბუქაუ ბუქაუ!“ — ახალ კედლებს და ხაფანგებს თავი დააღწია. დგას მარტო, აქეთ მე, იქით ის, ხუთასობდე მეტრი გვაშორებს. არ გატოკებულა წამს, სანამ მისკენ მივდიოდი. მიახლოებულზე გვერდით ჩაინია და ტალებიკენ გამომევა. ნაწვიმარი დილა იყო, მაგრამ ალავერდი ჩანდა...

თარი ტექსტი... კაროზე, დამლაღეთ... გზადაგზა უნდა მოხდეს პერსონაჟის გახსნა... და გეყოფთ, დავილაღეთ... ხომ ბაზრობთ და გესმით ერთმანეთის ჩემი დახმარების გარეშე? — სიგარეტს მოუკიდა და ჩაჯდა სავარძელში.

— ჩვენ ნავალთ, — წამოდგენს სტუმრები.

— დროებით, — კარამდე მიაცილეს თამრომ და გიომ.

— რალაც აცაბაცა დღეებია, — დაღლილი ჩანდა თამრო, — დავილაღეთ... შენც მაგრად დამლაღეთ... ხომ გამიცანი, მშვიდი და ნახად მხიარული რამეები მომწონს, — ეცივნებოდა ნევისას, — შენ კი, ბლიჟნი ბლუზი გამიჩითო ოცდამეათისაათიანი...

— კაი, გეყო, — უთხრა გიომ.

— მე ცოტა ხნით გადავალ სახლში, — სიგარეტი ჩააქრო თამრომ და ენერგიულად წამოგდა. გადამწყვეტილება მიღებული ჰქონდა და მალევე აიკრფა ნასასვლელად. გიოს არ გაუჩერებია. ასე ჯობია, თქვეს ადრე, რომ როდესაც გადავლიდნენ ერთმანეთს, ცალ-ცალკე დარჩენილიყვნენ. ამის შესაძლებლობა იყო, თამროს კერძო სახლი ჰქონდა ზედა ვერაზე, სადაც მისი მოხუცი მშობლები ცხოვრობდნენ.

დარჩა მარტო გიომ. ხმაურს ალაგებდა გუშინდელი დღის, რომელიც არ განელებულიყო. შევიდა ოთახში. „ბუხ!“ — დაიძახა.

თამრომ ფეხით გადამწყვეტა სახლამდე მისვლა. გზად გადაურეკა მშობლებს, ხომ კარგად არიან და ბევრი ნერვიულობა ხომ არ გადახდით თავს გუმინ?.. ჰო, ინერვიულებდით, აბა, რა?.. ბავშვებს ერთოდნენ ღამით შუა რუსთაველზე, თანაც მერამდენედ?.. მართალია, როდემდე უნდა ვიყოთ ასეთ სტრესებში და ცუდობებში?.. კი, ჭირს გაძლება, ვიცი, მოვალ მაღლე... წამოვარდება თავის აივანზე ტახტზე, მძიმე მატყლის საბანს გადაიფარებს, რამე კარგ წიგნს შეარჩევს ნასაკითხად და გამომიძინებს გემოზე...

ჰო, გიომ დაღლა იცის, ჯანს გამოვაცვლის, იმის დედა ვატარე. ხან წვიმა ენატრება, რომელიც, აგერ, გარეთ წვიმს მსხვილად, მაგრამ მას ვერ „ენვიმება“, ფანჯრის მიწასთან ცხვირმიბეჭენილად მდგარს, რეინ, რეინ ინ მაი ჰართ, ინ მაი ჰართ, ვერა მაქვეს საგრძობლადო, ბოლთას სცემს ოთახში და სევდასაც უჩივის, რომელიც თურმე გაქრა, დაიკარგა, შენი დედა მოვტყან, იგინება, რამდენი დღე გათეთრდა უკვე უსვენოდ, ფერი ვერ აიკრიფა, სუფთა ფურცლად დარჩა, გაფითქინებული, „მაზოკების“ გარეშე, და ჭაჭას ითხოვს დასალევად პერმანენტულად...

აჰა შენ წვიმაც! კი არ წამოყინულა, ეგრევე დაცხო კოკისპირულად. თამრო ქუჩის კიდეზე, აივნების ქვეშ ემალებოდა და სველებას. გზაჯვარედინზე ანიტას და ალესანდრას მოჰქრა თვალი. საყვარლად მოეჩვენენ ტარის ქვეშ შეფარებული, ხელჩაკიდებულიები, ვინმე კეთილი ადამიანის, გამველის, გზის მრჩევლის მოლოდინში დაბნეულად შეუჭურულიები რომ დაინახა.

— ჰე, ჰეი! — შორიდან დაუძახა და მათკენ გადაიბრინა ქუჩა თავსხმა წვიმაში ხის ძირას, — დაიკარგეთ? — გერმანულად ჰკითხა.

— არის ასეთი, — უპასუხა ანიტამ, სველ თმას ისწორებდა, თან ალესანდრას არ უშვებდა ხელს, — თითქოს უკვე ვიცი აქაურობა ასე თუ ისე, მაგრამ მაინც მიმტყუნა ნავიგატორმა.

— მე კი გულებობდი, არ არის სწორი გზა და აქეთ-მეთქი! — გაბრაზებით თქვა ალესანდრამ და ხელი გაითავისუფლა, — მე ხომ უკეთ ვიცი... მე ქართველი, — ქართულად თქვა ბოლო სიტყვები და ღამაზი ცხვირ-პირი ზევით ასწია თავმომწონედ და მოხვდა შუბლზე მომნიფებული წვეთი ჭადრის ფოთლიდან გადმოვარდნილი...

...ეხლა პაუზაა საჭირო!.. — წამოიძახა თამრომ, — ...გახურდით... რა მომავართ ვაგონებად, ცოტა ხანი რუშად უყურეთ თვალებში ერთმანეთს თქვენ-თქვენს ენაზე, — დღინჯემომოყრილი წელში გადაინხარა გაზმორებით.

— პაუზა მაგარია, — გიომ დაარღვი დუმილი.

პაუზა ბევრად მეტს მოიცავს, ვიდრე ეს თავბრუსდამხვევი ალიაქოთი, გარს ატეხილი და წინა დღეებში ვერნამოვონავთ-ნასაკიდებელი... გაეციწა გაფიქრებისას.

— პაუზა სავეს უნდა იყოს, — ფიქრებიდან საუბარზე გადმოვიდა, — მანდ გროვედა დასაბუთებელი და... ბუხ! — შეყვირებით შეახტუნა ანიტა.

— კი, კი, — თარგმნის შემდეგ დაეთანხმა ანიტა, — ერთ თქვენს მსახიობს ვუხსნიდი... ქართველებსაც აკავებენ როლებში, — თარგმნიდა თამრო, — ...ვერ გააგებინა, რომ რახან ნაკითხული აქვს სცენარი და იცის, რომ უარყოფითი გმირია, თავიდანვე არ უნდა იყოს ვედმა ბაბა და ისტერიული სისინი არ უნდა აღმოთქვას საკუ-

მწერალი

ნინო სადლობელაშვილი

ნინო სადლობელაშვილი სერბეთის მწერალთა ასოციაციის პრემიის, „მორავას“ ლაურეატი გახდა — ოქტომბერში სერბეთში გამართულ პოეზიის საერთაშორისო ღონისძიებაზე International Poetry Event მწერალთა ასოციაციის წარმომადგენლებმა ქართველ ავტორს ჯილდო პირადად გადასცეს, რასაც შემოქმედებითი საღამო და მკითხველთა შეხვედრა მოჰყვა.

ნინო ხომ მხოლოდ პოეტი არ არის. როსტომ ჩხეიძე გამოცხადებდა მის წარმატებასა და „მხატვრული ნიჭიერების მრავალმხრივობას“ — თუკი გაცნობიან მის მოთხრობებს, პიესებს, კრიტიკულ-ესთეტიკურ ესეებსა და რომანებს, შეექმნებათ შთაბეჭდილება თანამედროვე ქართული მოთხრობის, დრამატურგიის, კრიტიკული აზროვნებისა და ქართული რომანისტიკის მაღალ დონეზე. „მალე ეს მრავალმხრივობა თავის ნაყოფს გამოიღებს საერთაშორისო გარემოშიც, რისი მაუსწყებელიც მისი პოეზიის წარმატებაა“.

თუ როგორ აღმოჩნდა ნინია სერბეთში, როგორი დღეები გაატარა იქაურ პოეტებთან, რა ემოციით დაბრუნდა საქართველოში — ამაზე ჩვენი ინტერვიუ. და კიდევ იმაზე, როგორ ვცხოვრობთ ჩაკარგულ ეყოველდღიურობაში, მოცულები საკუთარი თავით, საქმით, პრობლემებით, სიხარულით და ტკივილით, თითქოს სამყაროში ჩვენ გარდა არავინ იყოს, და ამ დროს გვერდით, მეზობლად, ხალხი ჩვენსავით ებრძვის ცხოვრებას, მარცხდება, იმარჯვებს, არ ნებდება და სუნთქავს, სუნთქავს პოეზიით.

— გილოცავთ ლაურეატობას. რას ნიშნავს თქვენთვის ეს ჯილდო?

— ეს ჯილდო დიდი პატივი და სიხარულია, რადაც ახალი და უცხო სიხარული, იმის შეგრძნებით და გაცნობიერებით დაბადებული, რომ სადღაც შორს, სხვა ქვეყანაში, სხვა ენაზე წავიკითხეს, დაგინახეს, ახლოს მოვიდნენ და ახლოს მივიგვეს.

— ალბათ იმასაც აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ დაგაჯილდოვებდა — თქვენი მასპინძელი ქვეყანა, როგორც გავიგე, პოეზიის დიდი მოტივატიორი დაჯილდოების დღეებში წავიკითხე თქვენი შთაბეჭდილება სოციალურ ქსელში, სადაც წერდით: „რავნახე და სასწაული! მეგონა, მარტო ჩვენ, ქართველებს, გვიყვარდა ასეთი მსურველებით პოეზია და ლექსების კითხვა. ჩემი პაპები კაფიას ოსტატები იყვნენ და განა მიკვირდა ყოველწლიური ყოფის პოეზიით მოგერიება, მაგრამ სერბებმა მართლა გამაკვირვეს“.

— მართლა საოცარი შთაბეჭდილება იყო. აღტაცებული ვიყავი მეც და ჩემი მეგობარი და თანამგზავრი სერბეთში, მსახიობი ნინო ფილდჰანიც, როცა ვუყურებდი ჩვენი მასპინძლების ასეთ ვნებშიან და თავდავინყებულ სიყვარულს პოეზიის, ლიტერატურის მიმართ. სერბებს დიდი ლიტერატურა აქვთ, ბოლოს და ბოლოს, ნობელიანტი მწერალიც ჰყავთ — ივო ანდრიჩი, ხოლო თუ მათ ხასიათს, ეს ეთნობუნებას და უკვირდები, აღარც ერთ დამოკიდებულება გავაკვირებ — მათშიც, როგორც ჩვენში, არის არტისტიკული იერი, პოეზიას განიცდიან, როგორც სულის მდგომარეობას და დღესასწაულადაც აქცევენ. ქალაქ მრჩავეცში, დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ, ლექსების კითხვა რამდენიმე საათი გაგრძელდა. უდიდესი ინტერესით ისმენდნენ, გულშემატკივრობდნენ და ელოდნენ ერთმანეთს. ერთ-ერთმა ისიც მითხრა, ეს რა არის, პანდემიამდე სულაც ორი დღე გრძელდებოდა და სამი ათასზე მეტი ავტორი ჩამოდოდა მთელი სერბეთიდანაც და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. აი, აქ, ამ ეზოში ვიკრიბებოდით და ღია ცის ქვეშ დიდიდან დაღამებამდე ვკითხულობდით.

— „მორავა“ — რა პრემიაა ეს? მოგიყვებით მისი ხასიათი, წესი, ტრადიციის შესახებ. გავაცანით მისი ისტორია.

— მორავა მდინარეა სერბეთში და მის პატივსაცემად ჰქვია ეს სახელი პრემიას, რომელიც წელს უკვე 24-ედ გაიცა. ესაა სერბეთის მწერალთა ასოციაციის საერთაშორისო პრემია, მისი ლაურეატები კი, სერბებთან ერთად, სხვადასხვა დროს იყვნენ ჰოლანდიელი, რუმინელი, ინდოელი, ირანელი, ამერიკელი თუ სხვა ქვეყნის პოეტები. „მორავას“ დაჯილდოებას ასეთი ტრადიცია აქვს: ცერემონიალის შემდეგ ყველანი გადიან ტრიალ მინდორზე, სადაც აღმართულია კედელი, კედელზე მიკრულია ლითონის ფირფიტები, რომლებზეც ყოველ წელიწადს იმ ავტორთა გვარები ემატება, ვინც „მორავას“ მფლობელი გახდა.

„მორავა“ ბელგრადში დაიბადა, თუმცა ბოლო ექვსი წელია, დაჯილდოების ცერემონიალი მრჩავეცში იმართება რეგიონების და პატარა ქალაქების პოპულარიზაციის მიზნით.

— თქვენ როგორ შეუერთდით „მორავას“, როგორ შეუერთდით თქვენი პოეტური ხმა პოეზიის სერბულ მდინარეს?

— ყველაფერი ამ წლის მაისში დაიწყო, როცა თბილისს სამი სერბი პოეტი — გორდანა ვლაიჩი, დემეტრა ივანოვიჩი და ალექ



ქსანდრა მიხალიოვიჩი სტუმრობდნენ. მათი საღამო მწერალთა სახლში გაიმართა, მათი ლექსები ინგლისურადან მანანა დუმბაძემ თარგმნა. სამწუხაროდ, იმ დღეებში თბილისში არ ვიყავი და არც ამ შეხვედრას დავესწრებოდი. მათი პირადად გაცნობის პატივი სერბეთში მერგო მას შემდეგ, რაც თბილისური მოგზაურობით აღფრთოვანებული ვიყავი და ლიტერატურულ ფესვივალზე ქართველი ავტორიც დაპატივეს. მწერალთა სახლიდან ინგლისურად თარგმნილი ჩემი ლექსები გავზავნეს. განსაკუთრებული მაძლობა მწერალთა სახლის ხელმძღვანელს, ქეთევან დუმბაძეს, ამ შესაძლებლობისთვის. მალე პასუხიც მოვიდა — ოქტომბრის დასაწყისში სერბეთში მელოდნენ. თავიდანვე დიდი ინტერესით განვენყევ ამ მოგზაურობის მიმართ. სერბეთი ყოველთვის მაინტერესებდა და მაღვლეებდა. ჩვენსავით ნატანჯი და ნანვალები ხალხია, სულ ბრძოლასა და ომში მყოფი, უამრავი რამ გვახალისებს და გვაკავშირებს. ერთ-ერთი მთავარი მაკავშირებელი კი საერთო ქრისტიანული, მართლმადიდებლური წიაღია, რომელიც მათ ეროვნულ და სულიერ თვითმყოფადობას, კულტურასაც განაპირობებს და მათ ეთნობუნებასაც, სიცოცხლეს აღდგომის სიხარულით განიცდიან, მთელი არსებით ეძლევიან სიყვარულს მის მიმართ, თითქოს თავიანთი ცხოვრების უკანასკნელ დღეს ცხოვრობდნენ — ვნებით, მზურვალედ, სიმღერით და რწმენით. ჩვენც ხომ ასე ვართ, ჩვენშიც ხომ ანთა და ჯერ კიდევ ჩანს ეს რწმენა და სიყვარული.

— ალბათ ძალიან საინტერესოა ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის დაჯილდოებ-

ის სამდღიანი ამბავი ორ ქალაქში — მკითხველთა შეხვედრა და შემოქმედებითი საღამო.

— ყოველი წუთი ძვირფასი და შთაბეჭდავი იყო. მრჩავეცში, შეიძლება ითქვას, რომ სერბეთის ეთნოგრაფიული მხარე ვინილეთ — გარმონზე ნამღერი ხალხური სიმღერებით, სოფლური ყოფის დეტალებით, კულინარიით. აი, პანჩევი კი სრულიად სხვა კულტურის ქალაქი დაგვცვდა — ავსტრო-უნგრული არქიტექტურული სტილის, ორსართულიანი, ულამაზესი და საოცრად მყუდრო პანია ქალაქი, ბელგრადიდან 20 კილომეტრში, სავსე თეატრებით, მუზეუმებით, მჭიდვარ სახელოვნებო ცხოვრებით. პანჩევოს მეთევზეების ქალაქსაც ეძახიან. მდინარის პირას გაშენებულ ამ კობტა ქალაქში ბევრი მეთევზე იყრის თავს, მდინარის გასწვრივ ჩამშკრივებული ნავეები კი, ქარის წისქვილების და მე-18 საუკუნის შენობების ფონზე, საოცრად მხ-



გმნელები? მოგიყვებით, როგორც ნომინანტი, რამდენიმე ლექსით იყავით წარდგენილი სერბების წინაშე თუ კრებული ითარგმნა?

— ორ-ორი ლექსი ინგლისურად თარგმნეს მანანა დუმბაძემ და ინვა ულენცმა. სერბეთში განსაკუთრებით აღნიშნეს მათი თარგმანების ხარისხი — ისეთი კარგი თარგმანი იყო, რომ ლექსების სული სრულყოფილად დავიინახეთ. ეს ლექსები სერბულად დუმიცა ივანოვიჩმა და გორდანა ვლაიჩმა თარგმნეს და ნაიკითხეს კიდევ. საერთოდ, მთარგმნელები კვლავ უკეთესი ნელი შუამავლები არიან კულტურათა და ენათა შორის და, ამასთანავე, ისინი თანავეტორებიც არიან, ამიტომ მე დიდ მადლობას ვუხედავ ჩემს თანავეტორებს და შუამავლებს ენებს შორის გადაებული ამ მშვენიერი ხიდებისთვის.

— დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მკითხველზე თქვენს ლექსს „ომში სხვა ტკივილს ყმუიან უშვილო ქალები“. გაიხსენეთ, როგორ დაინერა ეს ლექსი, რაზეა ის?


— ეს ლექსი უკრაინის ომის დაწყებიდან მალევე დაინერა. მარიუპოლის ტრაგედიაზე ხომ მსოფლიო შეძრა. ზუსტად მაგ დროს, რეჟისორ გიორგი სიხარულიძესთან ერთად ვმუშაობდი პიესაზე „ხალდე“. მე-19 საუკუნის ბოლოს სვანეთში მომხდარი აჯანყება და სოფელ ხალდეს თავგანწირვის ისტორია ხომ ძალიან ჰგავდა მარიუპოლის ტრაგიკულ ამბავს, თუმცა ხალდეში კიდევ რაღაც სხვა და სწორედ ამიტომ მოხდა... ამ ყველაფერმა ლექსშიც გამოაღწია, რადგან დაუტყველი იყო ტკივილი.

— თქვენი პოეზია არაერთ ენაზეა თარგმნილი. საინტერესოა, როგორ მივიდა ის ლექსები უცხოელ მკითხველამდე, თუ გქონიათ ან თუ გიგრძნიათ უკუკავშირი მათგან?

— ჩემი ლექსები, აქამდე, გერმანულად, ფრანგულად, იტალიურად და ინგლისურად თარგმნილი. ახლა ამ ენებს სერბულაც დაემატა. მისაუბროსა გერმანულ და იტალიურ მკითხველთან, თავისთავად ძალიან საინტერესოა მათი აზრი, ემოცია, რომელიც ყოველთვის უშურველად გაუზიარებიათ. მაგალითად, შარშან იტალიაში ქალბატონი ნუნუ გელაძის მიერ თარგმნილი ჩემს — და არამხოლოდ ჩემს — ლექსებზე ვისაუბრეთ იტალიურ პოეტებთან ერთად, რომელთა ლექსებიც ქართულად ასევე ნუნუ გელაძემ თარგმნა. საინტერესო გამოცდილება იყო და ახალი, აქამდე უცნობი, კუთხიდანაც შეხვედრე ჩემს ლექსებს.

— თქვენ არა მხოლოდ პოეტი ხართ, არამედ მუსიკოსი, დრამატურგი, ისა და ესეისტიკის მიმართულებით. ახლა თუ წერთ რამეს ან რა შემოქმედებით გეგმები გაქვთ?

— მთელი ზაფხული აქტიურად ვმუშაობდი დრამატურგიაში. ახლაც მიხელოვანი ვარ. „ძალის გული“ ინსცენირებას ვაკეთებ თავისუფალი თეატრისათვის. ვემზადები რომანისთვის, რომელიც დიდი ხანია, ჩაფიქრებული მაქვს და ვერა და ვერ დავიწყებ წერა. ჯერ მასალების მოძიების პროცესში ვარ, რადგან რაღაც კუთხით ისტორიული რომანი იქნება, თუმცა ისტორია არაა ჩემი კვლევის მთავარი მიზანი, უფრო მეტად ის სიბნელე და სინათლე მაინტერესებს, რაც ამ ისტორიის ძაბვით წარმოქმნება და რის ფონზეც ასეთი უცხო და თან ასეთი ნაცნობი რჩება ადამიანი.



მათი-მასი ათი წლის იყო, როდესაც მშობლებმა ფეხბურთზე არ შეიყვანეს... შვილის დიდი სურვილის მიუხედავად, მესტერიშვილების ოჯახმა გადაწყვიტა, ბიჭი უფრო ვაჟკაცურ სპორტზე — ხრიდოლზე — ეტარებინა. თანაც ხრიდოლის სასარგებლოდ ისიც მოქმედებდა, რომ აქ სიარული მხოლოდ ოცდაათიოდე ლარი ღირდა. ფეხბურთი კიდევ ძალიან ძვირი სიამოვნება გახლდათ. ერთხელ სკოლაში ვიღაც ბიჭებმა მოსწავლეებს მწვანე ბარათები დაურიგეს — ზეგ საღამოს ჩამოდიო, ბურთი გავიგორეთ და ვისაც ნიჭიერს ვნახავთ, უფასოდ ავიყვანთ გუნდში. მოსწავლეები გახარებულნი მივირინდენ სახლებში, აქაოდა უფასოდ გვავარჯიშებენ ხოლმე. მშობლებსაც ადვილად გადასდეს ავანტიურისტული განწყობა და საგანგებოდ მოეზადნენ დიდი გამოცდისთვის. ნანატრი დღეც მალევე დადგა.

ოთხშაბათს, დათქმულ დროს, სკოლიდან „ნორჩ დინამოელში“ ჩამოასვირნეს მშობლებმა შვილები. სინჯებზე მოსულეებს ლურჯ სპორტულბურთში გამოწყობილი მწვრთნელი — ლევან კაკიაშვილი — დახვდათ, რომელსაც ზურგზე კაკიაშვილი ეწერა არაპროპორციული ლათინური ასოებით. ზოგი ასო ძალიან გრძელი იყო, ზოგი კი ძალიან მოკლე. ალბათ, ხუთი ნომრით თამაშობდა ახალგაზრდობაში. თუმცა ეს რიცხვი ვინრო პარტიულობის ამსახველიც შეიძლება, ყოფილიყო, რადგან ნორმალურ ადგილზე დასაქმება, ზოგადად, პატრონის ყოლას საჭიროებდა. მოვლავატრონობის ვალდებულება კი ვის აკისრია, თუ არა მზრუნველი მთავრობის ნევრს. თან თუ ახლობელია, მითუმეტეს...

ლევან კაკიაშვილია ორმოცდაათი ბავშვი ერთ გაშლილ მიწოდორზე შეყარა (რომელთა შორისაც პატარა მათე-მესიც იყო), რამდენიმე ბურთი მისცა, სასტვენში პირში ჩაიდო, ჩასტვინა და ასისტენტებს ანიშნა — შევადითო. ასისტენტებიც იმნამსვე შეცვივდნენ არეულ-დარეულ სტადიონზე და ბიჭების დანწყობება დაიწყეს. საიდუმლო კრიტერიუმებით სულ ათი გუნდი შეიკრა, ჩატარდა კენჭისყრა და მწვრთნელისთვის შთაბეჭდილების მოსახდენად გაიმართა ხუთი უდაძაბულესი თამაში, რომლებშიც მოსწავლეები არც მონიშნალმდეგებს ინდობდნენ და არც თანაგუნდელებს. ყველა საკუთარი შესაძლებლობების გამოჩენისთვის იბრძობდა. ამ პატარა განამანაში ლევან კაკიაშვილს მზერა რუსული სექტორის ერთი მოსწავლის ქერა დედისკენ ჰქონდა მიმართული, რომელსაც რაღაც სხვანაირი ეშხით ესაუბრებოდა. დანარჩენი მშობლებისგან ზოგი საკუთარი შვილის თამაშს აკვირდებოდა, ზოგი სხვების შვილებისას ადევნებდა თვალყურს. ვიღაცები გაუთავებლად ლაპარაკობდნენ ერთმანეთში. ერთ მაღალ კაცს მობილური არ გაუგდია ხელიდან. მათე-მესის მამა კი დინჯად იდგა და თავისი შვილის თამაშს ელოდა. სიდიდით მესტივერის შვილებს თაობადან თაობაზე გადაცემოდით. მათეც წყნარად გაგორებულიყო ბალახზე და საკუთარ რიგს მოთმინებით ელოდა. როგორც იქნა, ბოლოსწინა თამაშიც მორჩა და მათემაც სტადიონისფერი მაისური გადაიცვა. დიდად არ ესაიმოვნა გაოფლილი მაისურის მორგევა, თუმცა რას იზამდა?! ამის გამო ხომ არ გაუშვებდა ფეხბურთელობის შანსს ხელიდან? მონდომებით შეიბრინა სტადიონზე, დანარჩენებიც შემოუერთდნენ, თავიანთ ნახევრებზე გადანაწილდნენ და ასისტენტის ხმაზე გაისმა. ტაიმი ძალიან მოკლე — ხუთწუთიანი — იყო. მათე ათი წუთის განმავლობაში ხუთჯერ მიიღო მხოლოდ ბურთი. ხათრიანი ბიჭი გახლდათ. ბურთის თრევა კი შეეძლო, მაგრამ თანაგუნდელებზე ზრუნავდა და მათთვის განანილებდა ბევრად ერჩივნა მართო თამაშს. პირველი სამი შეხება და პასი გააკეთა. ორი მოკლე, ერთი კი — გრძელი. სამივე კარგი გამოუვიდა. პასი რომ კარგა ხანს აღარ დაბრუნებია, თამაშის სტილი შეცვალა და აქტიურ ართმევაზე დაიწყო გადასვლა. თამაშის დასრულებამდე ორი წუთიღა იყო დარჩენილი. მათე ართმევაზე კარგად თამაშობდა და ორჯერ შეეძლო კიდევ ბურთის მოპოვება მონიშნალმდეგისგან. პირველ ჯერზე დააღო თავი და გაიქცა. ორ კაცს კი დაახვია თავბრუ, მაგრამ მესამე თამაშის წესები დაარღვია და ჩვენმა მინდორზე ნაქცეულმა მათემ ცა დაინახა. ამახ ძლიერ გააბრაზა, თუმცა ნერვი-

ბი მოთოკა და მონიშნალმდეგების შეტევაზე ისევ გამოსტყუა ბურთი ერთ-ერთ მათგანს, გაიგდო მარჯვნივ და პირდაპირ ცენტრიდან დაარტყა. ბურთი კარში წავიდა, ძლიერადაც, თუმცა მათეს ფუნჯულა პარალელურკლასელი ნოდარი მთლიანად ფარავდა კარს და ბურთის დანახვებზე შეშინებული, მარცხნივ გადმოწვივდა, თავში მოხვდა დარტყმული. დარტყიანებული ნოდარი დაჯდა, შუბლზე ხელი დაიდო, თავი ორჯერ წიკინავით გააქნია და სასტვენიც გაისმა. მათე-მესის საფეხბურთო გამოცდა დამთავრდა. სასტვენის შემდეგ პარალელურკლასელთან მივიდა, წავ-



ზურაბ ლუღუშაური მათე-მასი

მოაყენა, გასამხნეველად ხელი ბეჭებზე შემოჰკრა და მამისკენ გამოემართა სტადიონს გარეთ. მამამ გამოსაცვლელი მაისური დაახვედრა, უცებ გაამშრალა, ახალი მაისური გადააცვა და მშობელთა შეკრების ადგილს შეუერთდა. მშობლებს წრე ჰქონდათ შეკრული, მასში კი მწვრთნელის ასისტენტები ჰყავდათ მოქცეული. ცოტახანს სამწვრთნელო შტაბი ხმას არ იღებდა, რაღაცას ელოდებოდა. ამასობაში მთავარი მწვრთნელი — ლევან კაკიაშვილიც — დაბრუნდა გასახდელოდან, რომელსაც უკან ის ქერა ქალი გამოჰყვა, რომელსაც პირველი თამაშის განმავლობაში ელაპარაკებოდა. ალბათ, გასახდელი დაათვალიერებინა მშობელს და როგორც აღმოჩნდა, დანარჩენ ოთხ თამაშს არც კი დასწრებია სტუმართმოყვარე მწვრთნელი. ასისტენტები ათი წუთით წრიდან გამოიყვანა, რაღაცები გამოჰკითხა, რაღაცები მოითათბირა და მზესუმზირას უხეში ფურთხებით მოუხმომშობლებს. მოუთმენელმა მშობლებმა მარცხნივ გადმოინაცვლეს და წრის მაგივრად სამწვრთნელო შტაბის ნევრების გარშემო რკალი შეკრეს. ლევანმა მოქაქანე მშობლები მსუბუქი ჩასტვინით დაადუნა, მზესუმზირა გაკვირდა, გადმოიფურთხა და განაცხადა:

— აგე, ხუთი თამაში ვნახეთ, ხუთივე მაგარი დაძაბული. ბიჭებმა თავი არ დაზოგეს, მონდომებას ვერ დაეუკარგავთ, ზოგიერთებში პოტენციალს ვხედავ, რაღაცის გამოთლა შეიძლება, რაღაცის კი არა, თუ დამიჯერებს, მინიმუმ მოსკოვის სპარტაკში გარანტირებული აქვთ ადგილი, მაგრამ ამ ორმოცდაათი ბავშვიდან ვერცერთში შევამჩნიე ის, რასაც აგე, იმ შავ ბავშვში ვხედავ. ეგ კიდევ მინიმუმია, რასაც მომავალი ფეხბურთელი უნდა აკეთებდეს. ამასობაში ასისტენტს ჩაულაპარაკა — მიდი, ცხოველას დამიძახეო. ასისტენტმა შავ, სახეზე მინაშეხელილ, ბავშვს მოუხმო გვერდითა სტადიონიდან და ბატონ ლევანს ამოუყენა გვერდში. „ნორჩი დინამოელის“ მწვრთნელმა კე-

ფაში ნათუაქა პატარა ტალანტს, მერე ხელი გადახვია და ამაყად გააგრძელა: — მე რომ ჩემ თავთან მართალი ვიყო, ამ ბიჭზე ოდნავ უკეთესი მაინც უნდა ავიყვანო ე მაგ ბავშვებიდან. მერე ბიჭს მოუბრუნდა და მშობლებს გასაგონად შეეკითხა: — რამდენი ხანია, ბიჭო, რაც დადიხარ შენ აქა? — ვწელია, მას. — გახსოვს როგორი მოხვედი? — კი, მას. — როგორი? — ნული.

სინჯებზე მისულმა ორმოცდაათი ბავშვის მშობელმა, სანამ ზბორების საფასურზე გადავიდოდა მწვრთნელი. — მოკლედ, ზბორები აუცილებელია, — აგრძელებდა მთავარი მწვრთნელი, — იქ ვითარდებიან ბავშვები, თუ ვითარდებიან. ზაფხულში, ზღვაზე ოთხასი ლარია სტაკა. ზამთრისაზე — სამას ორმოცდაათი. ყველამ იცოდა, როგორ გაბერილ თანხებსაც ასახელებდა მწვრთნელი, მაგრამ რა ექნათ, ესმოდანო, რომ მასაც შვილები ელოდნენ შინ და ხომ უნდა ენახა ამ ყველაფრიდან საკუთარი სარგებელი? მთავარმა მწვრთნელმა ასისტენტს ანიშნა — ბლოკნოტი და კალამი დაადრეო. ხელქვეითმაც სპორტულის გულის ვიბზეუ გაიკრა ხელი, დაადრო უყდო მინიატურული ბლოკნოტი, ლურჯ, „ნორჩი დინამოელის“ კალამს თავზე ცერა თითი დააჭირა და ლევან გიორგევიჩს დაელოდა. ბატონმა ლევანმა საქმიანი სახით გადააფურთხა მზესუმზირას ქერქი, იგრძნო, რომ პატარა ჩენჩოს ნაფლეთი ტურზე დარჩა, ენა გამოყო, დარჩენილი ნაფლეთი მონახა, ისევ გადმოიფურცა და მშობლებს ისეთი სახით გამოუცხადა, ვისაც ბავშვის მოყვანის სურვილი გაქვთ, ჩაენერეთო, თითქოს ძალიან დაკავებული იყო, ისედაც ბევრი მოსწავლე ჰყავდა და დამატებითი თავის ტკივილის ნერვი არ ჰქონდა. „ნორჩი დინამოელის“ გუნდში ორმოცდაათი ბავშვიდან მხოლოდ თხუთმეტი ბიჭი დაარეგისტრირა მშობელმა. ამ თხუთმეტიდანაც, მწვრთნელმა რომ ბოლომდე გატყავება დაუპირა, ნახევარზე მეტმა პირველივე თვეს გამოიყვანა შვილი გუნდიდან. რაც შეეხება პატარა მათე ბიჭს — მათე-მესის — მწვრთნელის სიტყვით გამოცდის დასრულებისთანავე უსიტყვოდ გადახვია ხელი მესტივერის ოჯახის უფროსმა, ოცდასამი წომეერი ავტობუსის გაჩერებაზე უხმოდ აიყვანა, გადაძვირებულ ავტობუსში ძლივს შეტენა, თვითონაც ძლივს შეეჭყყა, თერთმეტი გაჩერება ხმის ამოღება თინა, ბავშვსაც ათმენინა და ასე მდუმარედ აიყვანა შვილი სახლში. შემოსასვლელში ცოლი შემოეგებათ. პირმოკუშული ქმარი და თავჩაქინდრული ბიჭი რომ დაინახა, გული კი შეუქანდა ცოტა, მაგრამ მაინც მზიარულად ჰკითხა — შე, აბა, რა ქნითო. ქმარმა ფეხსაცმელები გაიხადა და უხერხული პაუზის შემდეგ უხერხულივე სიცხის თანხლებით მიუგო ცოლს: — გიჟი იყო, მგონი, ის ჩემისა... — რატო, რა მოხდა? — არაფერი, დიდი აფერისტი გამოდგა... ჩვენ ხარჯზე მოუხდა გამდიდრება. — ხო გითხარი თავიდანვე, ყველა ეგრეა-მეთქი... — საქმელზე რა ქენი? — ტოლმა დაგახვედრეთ. — ძალიან კარგი. ხო შექამი, ბიჭო, ტოლმას? მათემ უხმოდ დაუქნია მამას თავი. — და ბავშვს რა ვუყოთ? — კვირის ბოლომდე მოვუხერხებ რამეს, — ერთხანს თავჩაქინდრულმა ღმილით ახედა ცოლს და გამოსაცვლელად გაემართა საძინებლისკენ. კვირის ბოლოც დადგა და მილანის გულშემატკივარ მათეს მესის ფორმა უყიდეს (ახალგაზრდობაში იყო მამის მესი), ბარსას ბურთი დააჭერინეს, სურათიც გადაუღეს და ეზომი ჩაუშვეს. მათესაც რა ექნა? თამაშობდა და თამაშობდა. ჭკუა ეკეტებოდა ფეხბურთზე. ჯერ სკოლაში არბენინებდა ხოლმე ფიზკულტურის გაკვეთილებზე თანაკლასელებს. ათი ბიჭი თუ არ გროვდებოდა, გოგონებსაც იმატებდა ხოლმე ფეხბურთის ხუთი-ხუთზე სათამაშოდ. თავის ფიზკულტურის გაკვეთილს რომ მოილევდა, მერე სხვებისაზე რჩებოდა, რაზეც მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებლის მიერ დამელოდი დამრიგებელი ყოველ კვირას ლანძღავდა. სკოლიდან სახლში დაბრუნებული კი პირდაპირ მესის მაისურს იცვამდა და მოპირდაპირ ეზომი გადარბოდა ხოლმე უზნელ ბიჭებთან სათამაშოდ. მათე ფეხბურთს თამაშობდა, მაგრამ ციური ვარსკვლავივით ვერ კამკამებოდა. თუმცა ბიჭებმა, მაისურის გამო, მაინც მესი შეარქვეს. მათე-მესი იზრდებოდა. მშობლებს ხრილოლიდან არაფრის დიდებით არ გამოჰ-

ბი მოთოკა და მონიშნალმდეგების შეტევაზე ისევ გამოსტყუა ბურთი ერთ-ერთ მათგანს, გაიგდო მარჯვნივ და პირდაპირ ცენტრიდან დაარტყა. ბურთი კარში წავიდა, ძლიერადაც, თუმცა მათეს ფუნჯულა პარალელურკლასელი ნოდარი მთლიანად ფარავდა კარს და ბურთის დანახვებზე შეშინებული, მარცხნივ გადმოწვივდა, თავში მოხვდა დარტყმული. დარტყიანებული ნოდარი დაჯდა, შუბლზე ხელი დაიდო, თავი ორჯერ წიკინავით გააქნია და სასტვენიც გაისმა. მათე-მესის საფეხბურთო გამოცდა დამთავრდა. სასტვენის შემდეგ პარალელურკლასელთან მივიდა, წავ-

ყავდათ. ბიჭი კი ძილის წინ იმ ნამზე ოცნებობდა, ამ უაზრო სპორტს რომ თავს ანებებდა და რაც გულთ სურდა, იმას რომ აგრძელებდა, მაგრამ ვერა და ვერ დადგა ეს სანატრელი წამი. ამის მიუხედავად, მათე გულს არ იტყვია, თამაშობდა და თამაშობდა. ოცნებებდა ჰქონდა, უმაყურებლოდ მოღუშულ ეზოში ვინმე ღვთისნიერს დაენახა, დახმარების ხელი გაეწოდებინა და წარმატებულ გზაზე დაეყენებინა. მათემესი სულ იმას წარმოიდგენდა ხოლმე, რომ მრავალრიცხოვანი პუბლიკის წინაშე თამაშობდა და მის ყოველ მიხვრა-მოხვრას უამრავი შექება ან გაკრიტიკება მოჰყვებოდა. სტადიონზე შესვლის წინ პირველად ვარსაც კი იწერდა, შემდეგ ბალახს ეხებოდა და მალე იყურებოდა ხოლმე. დიდი ხანი გრძელდებოდა ასე, სანამ მათე-მესისტვისაც არ დადგა ის ყოველგვარი ბრივი ეტაპი, რომელსაც თითქმის ყოველი მეორე ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი გადიოდა.


მათემ სიგარეტის მონევა დაიწყო. თუმცა თამაშზე ხელი არ ჩაუქნევია. სიგარეტით ხელში მიჰყვებოდა ფეხბურთს. სკოლაში დიდად ვერ ბედავდა, მაგრამ უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ შიდა ტურნირებს ლამის კურთღმარადა ატარებდა ხოლმე. მოედანზე შესვლამდე ძირითადად ნახევარ ღერს ენებდა, „დიხანაზე“ არ დამეტყოსო. თამაშის დასრულებისთანავე ყოველთვის რომელიმე კურსელი ელოდა უკვე ანთებული სიგარეტით, გაკიდებით რომ არ დაღლილიყო შეუმდგარი ფეხბურთელი. თუმცა მთლად ასე წყალობაზელიც არ ყოფილა მათე ბიჭი და მნიშვნელოვანი თამაშების წინა დღეს მხოლოდ სამ ღერს აბოლებდა ხოლმე. მიუხედავად ამისა, სტადიონზე წუთ შეტყობისთანავე ვერ ძლებდა გადებულ და ხანდახან დაღლილ მიხვრულ იმას იმიზეზებდა, პატარა ტაიმები და მეორე დიხანას ვერ ვხსნიო, რაზეც მხოლოდ მწველი გუნდლები უკრავდნენ კვერს — ჩვენც ეგრე ვართო. არამწველებს კი წარმოადგენდა არ ჰქონდათ, რას მიხსნავდა ეს მეორე დიხანა.

მათე-მესის, ეზოსგან განსხვავებით, უნივერსიტეტში მართლა გამოუწინადა მაყურებელი, თუმცა არა სკაუტების სახით. უფრო სწორედ, სკაუტები კი იყვნენ, მაგრამ ცოტა ლამაზები, ჩერჩეტები და გუნდში ასაყვანად კი არ აკვირდებოდნენ კურსელ ბიჭებს, არამედ სხვა მიზეზები ამოძრავებდათ. ბიჭებსაც, გოგოები რომ მშვენიერ თვალებს უყუყუნებდნენ, მეტი რა უნდოდათ და უფრო ღრმა ნათვლებით შეზრდებოდნენ სტადიონზე. ამ უჭკულ გოგოებსაც არ სურდათ ხველებით დამხრჩვალ, მაგრამ თვალდაჯერებულ ფეხბურთელ ბიჭებზე მეტი და ასე მიდიოდა მათეს სტუდენტური ცხოვრების წლები და მისი კარიერის პიკი მანამ, სანამ როგორც ყველა ქართველ ფეხბურთელს, მასაც არ შემოეგება კარიერის ნაადრევად დასრულების ეტაპი.

მათეს მენისკი დაუზიანდა... მაგრამ არ სწყენია. პირიქით, გაუხარდა კიდეც. ნამდვილ ფეხბურთელად იგრძნო თავი. კედელზე ზემოთ ერთი მსხვილი ლურსმანი დააჭედებინა და მესის მოკლე გაცვეთილი მაისური ხრილობის გაცრეცილ ჩოხას გადააკიდა. რაც შეეხებოდა ტრავმას — არ იმკურნალა. მხოლოდ სამი კვირა იწვა და პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე ადგა. ასე ორი მიზეზის გამო მოიქცა... პირველი მიზეზი ის იყო, რომ მენისკი მენისკად სურდა, დარჩენოდა და ამით დამსგავსებოდა სხვა ვეტერან ფეხბურთელებს. რაც შეეხება მეორე მიზეზს, იგი სამკვირიანი წოლითი რეჟიმის დროს გამოიკვეთა და ისიც ვეტერან ფეხბურთელად აგრძნობინებდა ჩვენს მთავარ გმირს თავს... უსაქმოდ წოლის მერვე დღეს მათემესიმ თავისი სურათები რომელიდაცა სოციალურ ქსელში ატვირთა, ვიდაც-ვიდაცები დაიმატა, მიწერა-მოწერა და კარგ უკრაინელ გოგოსაც გამოკრა ხელი. ჰოდა, დადგა თუ არა ფეხი ძირს, ეგრევე იმ მშვენიერი გოგოს სანახავად გაიქცა...

ასეა ცხოვრება, როგორც საქვეყნოდ ცნობილი მწვრთნელი — ლევან კაკიაშვილი — იტყობდა:

კაი ცხოვრება თუ გინდა, უნდა იშრომო, აბა, სხვა როგორ გინდა?! აგე, მათემაც იშრომა, იშრომა და ყველაფრის მიუხედავად, მაინც მიაღწია რაღაცას... თავის სამყაროში მათე მესიც გახდა და შეიძლება, მესიზე უფრო მესიც...



მაშინ თორმეტი შემსრულდა. 2016 წელი იყო, აგვისტო. ასეთ დროს ბორჯომი შორიდან ჩამოსული უცნობებით ივსება, მერე კი დიდი ხნით ცარიელდება. ღრმა სევდას ტოვებენ უცნობებმა, როცა მიდიან, ვფიქრობ ჩემთვის, როდესაც სეზონზე ჩამოსული ვინმე უცნობი გზად ხშირად მხედება, ბოლოს კი ქრება და ვიცი, რომ შეიძლება, არც არასდროს ჩავუაროთ ერთმანეთს — მაგრამ ამ შემთხვევაში გოგონა მომენონა და, ალბათ, ამიტომაც დამამახსოვრა თავი.

იმ დროს, როგორც ბორჯომის ნებისმიერი ცნობილი უბანი, ლიკანიც დამსვენებლებით ივსებოდა. ყოფილი სანატორიუმი, რომელსაც მერე, დევნილები რომ ჩაასახლეს, მეორე კორპუსი შეარქვეს, იყო უზარმაზარი, შეყვითლებული და მაინც ლამაზი შენობა, სადაც ბავშვობის მთავარი წლები გავატარე. ზაფხულობით, განსაკუთრებით აგვისტოში, ხალხი ყველა მხრიდან ჩამოდიოდა. ბევრი ისეთი მეგობარი მყავდა, რომელიც წავიდა და აღარ გამოჩენილა. ცარიელდებოდა დერეფანი და მეც, ამ დერეფანში მარტო დარჩენილი, როგორღაც ვითრებოდი თავს. დერეფანს ჰქონდა ბოლო, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი იქაც ცხოვრობდა, იყო ბნელი და ცივი.

მაგრამ ერთხელაც ლიზა ჩამოვიდა ოჯახთან ერთად. ყვითელი თმები ჰქონდა, თავლისფერი თვალები. ცხვირზე ჭორღები ეყარა. გამხდარი იყო, ჩემზე სულ ოდნავ მაღალი. ახლა მისი სახე ფრამგეტებდა მახსოვს. დაც ჰყავდა — ანა ერქვა, შვიდი წლის იყო, ოდნავ შავფერმანი და შვედნიანი, საერთოდ არ ჰგავდა ლიზას. ლიზა თერთმეტის იყო. თეთრი კაბა ეცვა, პირველად რომ შემხვდა დერეფანში. თვითგორილას მიაგორებდნენ რიგრიგობით: დერეფნის ბნელი ბოლოდან ნათელ ბოლომდე და პირიქით. და სულ მესმოდა რუსულად: ლიზა და ანა, ლიზა და ანა... სახელებშიც ასე გავივი.

ოთახი, რომელიც მათ იქირავეს, დერეფნის ბოლოს იყო. შეღებული კარიდან დღისით მზის შუქი გამოდიოდა, ღამით კი — ნათურის. მთელი დღე ვიჯექი დერეფანში და შუქს ვუყურებდი. ვიცი, სანამ ენთებოდა, ლიზაც იქ იქნებოდა. მესმოდა თვითგორილას გუგუნო და მხიარულება. დილით გამოსული ველოდი მათი ოთახის კარის გაღებას, და მერე მივხვდი, რომ რაღაცას ვგრძნობდი. მიწოდდა, სულ ასე ყოფილიყო: შუქი დერეფნის ბოლოს და ოჯახური საუბარი, მისი სახელის გაგონება და მეტი არაფერი. მეგობარ, დიდი ხნით დარჩებოდა და უკეთ გავიცნობდი. თვალს ვაყოლებდი თვითგორილასზე შემდგარ ლიზას და მქონდა ნატვრა: ქარის ხელებად ქვეულებო ჩემი ხელები, რომ ამეშალა მზისფერი თმები. მოგვიანებით, აივანზე მსხდომი მეზობლების ლაქლაქი მოვისმინე და გავიგე, რომ ნახევრად ქართველი იყო. ქართული არ იცოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მე ვიცი რუსული და მაინც, არაფერს ვეუბნებოდი. ვერიდებოდი, რადგან ველავიდი. და თითქოს ამ ღელვამ მიმახვედრა, რომ მასთან საუბრის კი არა, მისი დაკარგვის მეშინოდა, და კიდეც სიცარიელის

და მარტოობის და მოწყენილობის, დიდი ხნით რომ ჩერდებოდა სანატორიუმში. მაგიტომაც ვიჯექი და ვუყურებდი, რომ მერე უფრო არ მტკუნოდა გული. მქონდა სურვილი და თან მეშინოდა. ახლაც მეშინია და როცა მტოვებენ, ვინ იცის, შინ გამოკეტილი, როგორ განვიციდი ყველაფერს მესხიერებაში თავმოყრილ ხშიერ ფანტომებთან ერთად.

პირველი დღე ასეთი იყო: შორიდან ვუყურებდი, რადგან მორცხვი ვიყავი. ერთი სიტყვის თქმაც რომ გამებედა, ყველაფერი დროის კოცონში დაინვებოდა, გარდა იმ სიტყვისა.

მეორე დღეს საკუჭნაოდან რომ გამოვედი, აივანზე შემხვდა. გზას არ მითმობდა. იდგა კართან და არ მიშვებდა. ჯინსის შორტები და სალათისფერი ზედა ეცვა. მის გამომხედვაში სიველურე ამოვიცანი. საპნიანი წყალი შემასხა თვალბინებში და ეგონა, ავტირდი. გაეზრუნა. საკუჭნაოში დავბრუნდი და კარი მივხურე. მანამ არ გავედი, სანამ ხმა არ მიწყდა. გაურკვევლობაში აღმოვჩნდი. მერე გამელიმა. ბრაზი მივიწყებას მიეცა.

რამდენჯერმე დავაპირე გამოლაპარაკება, მაგრამ სიტყვები ტუჩებზე მიმეკრო და დამტკნარი ქერცილით ჩამომძვრა. არც ის მეუბნებოდა რამეს. გოგონა, მასაც ეშინოდა. ხომ იცოდა, რომ დროებით იყო ჩამოსული და, ალბათ, ხვედებოდა კიდევ, რომ წავიდოდა, მხოლოდ მე დაველოდე ბოდი, უაზროდ, რადგან ვინც იქიდან წავიდა, უკან აღარ დაბრუნებულა.

და მიხაროდა, რომ ენთო შუქი დერეფნის ბოლოს...

ორი დღე გავიდა. პარკეტზე თვითგორილას ბორბლების კვალი დარჩა: გრძელი ზოლი, რომელიც სიბნელეში განყდა. სიზმარშიც მას ვხედავდი, მას და დერეფანს, ზუსტად ისეთს, როგორიც წინა ორ დღეს იყო. კადრები მესხიერებაში მოკლემეტრაჟიანი ფილმივით აიკინდა და სინამდვილე გაზარული მუშასავით დამისხვრა წარმოსახვაში. თვალდახუჭული ვეგდე საწოლში, სიბნელესა და აგვისტოს ღამის სანამოვნო სიგრილეში და ვცდილობდი, ნანახი რამდენჯერმე წარმომეგინა, სანამ

არ ჩამეძინებოდა და არ აიძვროდა ყველაფერი. ძილშიც კი ის მსურდა, მალე გათენებულიყო და ისევე მენახა, ანდაც იმ წუთშივე, მღუმარე და ადამიანებისგან მიტოვებულ ნაშუალამევს, გავპარულიყავი და მეპოვა მისი ოთახის კარი, ჩუმად დამეძახა „Лиза“, ჩახეხტებოდი სანოლიდან ნამოხბტარს და გამეჩუმებინა, აივანზე გამეყვანა და ვარსკვლავების ქვეშ მეკოცნა მისთვის, უხმოდ, ისე, რომ არავის შევნიშნეთ და მოგვესმინა მხოლოდ ღამისთვის, რაღაც მიუხედავად და მონოტონური მელოდისთვის, მერე კი ეს შეხვედრაც დაგვენიყვინა და ერთმანეთიც.

მალევე მივხვდი, რომ რეალობის მლასვე დინება წარმოდგენების ტკბილ ნაკადებს ვერ შეიერთებს.

მესამე დღეს დერეფანი დაცარიელდა. მის ბოლოს შუქი აღარ ენთო. მთელი დღე ვიჯექი და ველოდი. გადანყვეტილი მქონდა, თუნდაც ყველაზე უბრალო კითხვა დამეხვდა, როგორმე სიტყვების მახეში რომ გამეხა, მერე კი გვესაუბრა და გვესაუბრა... ვიცი, ადრე იღვიძებდნენ. ვიფიქრე, იქნებ ცოტახნით სადმე გავიდინე-მეთქი, ამიტომ იმედი არ დამიკარგავს და, ტყავის ბურთზე შემჯდარი, სულელივით ვიციდი-

ლი. დამავინყდა, რომ სეზონის ბოლო დღე იყო. ქალაქიდან ბევრი ხალხი გავიდა და უბნაზური ხმაურიც მისუსტდა. მაინც მჯეროდა. მაინც ვიცდიდი.

„აინთის შუქი დერეფნის ბოლოს, აინთოს შუქი დერეფნის ბოლოს...“ — ვიმეორებდი გულში და ვგრძნობდი, რომ მციოდა. სიცვი უკვე შემოსასვლელებში იდგა, მაგრამ ეს სხვანაირი სიცივე იყო: ისეთი, მარტო ყოფნისას განცდილ სიცარიელეში რომ გუბდება და რომლის ამოშრობაც მხოლოდ მეგობრობას და სიყვარულს შეუძლიათ.

და ვიცი დიდი მანამ, სანამ ვინმე ბებერი მეზობელი შინიდან არ გამოფრატუნდა. ხელჯობის კაკუნით იმ კარს მიადგა და ბოქლოში დააღო. იმ წუთას ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა მისი ქმედება, თუმცა კი ცხადი იყო, რომ ამ ქმედებით ბნელ დერეფანს სინათლით მიყენებული უკანასკნელი ჭრილობა ამოუკერა.

— შუქი აღარ აინთება? — ვიკითხე ბოლო იმედი.

გამხდარი ფიგურა სიბნელიდან გამოკაუნდა. მოხრილ თითზე გასაღებების აცმა ჩამოეცვა. ლოდინის სევდა რომ შემატყყო, მონკურულ ქუთუთოში თვალი გაამოძრა და მშრალად მიპასუხა:

— ტყუილად იცდი, ბიჭო. ისინი ამ დილით წავიდნენ.

წლები გავიდა. სანატორიუმი ტყემ მისაკუთრა, რთულად მისადგომი გახდა. ვიცი, რომ ჩემი ნათესაური დანგრეულია. დერეფნის ჭერიც, ალბათ, ჩამოიქცა. აღარ ჩანს ის ოთახი და შუქიც აღარაღრის აინთება. მომხდარი მორჩა, მაგრამ ხანდახან შორეული ამბები ისე ახლოს ჩაირბენენ, რომ ნატკივარი გული ველარ უძლებს. ძნელად შევეგუე იმას, რომ უამრავი ადამიანის სახე წარსულის ქაში დაიხრჩო და ზედპირზე მათი ანარეკლები და დარჩა, მღერე ვე ვე ვე არაზუსტი. შეიძლება, სიყვარული არც იყო, მაგრამ, გაცნობიდან გამომდინარე, დავსაკვნი, რომ მომენონა, როგორც გოგონა და შემიყვარდა, როგორც სინათლე...



ფერდობი, რომელიც სახლისკენ ემეცემა, ხასხასა ბალებით იყო დაფარული. საამო სიმწვანეში იისფერ ყორღვარდებს ამოეყოთ თავი — მეგობრულად, წრედში შეკრულ ზაფხულის ყორღვარდებს გაელამაზებინათ ახალმოქსოვილ ხალიჩასავით ფითნა მწვანე ბალები და ის ამ სილამაზის გულგრილი ვერ ჩაუვლიდა.

წამით შეჩერდა და როცა მიხვდა ბუნების უხილავი ხელის ყოვლისშემძლე ძალის მოქმედებას, ნაზად მიუახლოვდა ყორღვარდების საგულდაგულო ხორუმს, ჩაიმუხლა და ხელის მტვერის ზედა ნაწილით მოეფერა, თითქოს პატარა ბავშვს ეაღერებდა თავზე. ამ დროს სახეზე ალუნური სიამენარევი ბავშვური ნეტარება გამოესახა. თუ რა იშვიათი იყო მის ცხოვრებაში „ბავშვური“, საამო და სასიხარულო, მხოლოდ მონასტრის მამებმა იცოდნენ, რომელიც ასე გულწრფელად უშლიდა გულს შალვას.

მონასტერში პირველად რამდენიმე წლის წინ მშაკაცებს აპყვა და მხოლოდ ორი დღე შეძლო მამებთან გაჩერება. არა, ზარმაცი სულაც არ იყო, არც დილით ადგომა ერთსა და იმაზე, არც ღია-ლოცვაზე დასწრება იყო მისთვის უცხო, მძიმე საქმეც გამოსდებოდა და ნეტარ მამათა ზებუნებრივ, მკრთალ და ჩამოთლილ სახეებსაც იმედითა და ნდობით უყურებდა, მაგრამ თავის ადგილს ვერ პოულობდა. ასე რომ, მეგობრების გაუფრთხილებლად წავიდა ბებო-პაპასთან, შემდეგ კი მალევე დაუბრუნდა ქალაქის ხმაურსა და ტემპს. მაშინ ვინმეს რომ ეთქვა მისთვის, მონასტრის გზას კიდევ დაადგებოდა, ალბათ არაფრით დაიჯერებდა, თუმცა, უცნაური რამა ცხოვრება და ამის ნათელი დასტური შალვა და მისი განვლილი გზა გახლდათ.

ყვაილების შემყურეს უცებ შეაფრთხილა. მიუხედავად იმისა, რომ ყორღვარდების სხვადასხვა ჯიშს ნელინადის ყველა დროს შეიძლება, შევხვდეთ, ეს ჯოჭი იყო, ზაფხულის ყვაილი. არც ციოდა, არც ნიაკი უბერავდა და შალვაც საკმარის ჯანმრთელად გამოიყურებოდა, მისი სამხედრო წარსულისა და მონადირის გამოცდილების წყალობით.

სხეული სულ სხვა რამის გამო შეკრთა. ისე, როგორც მკუხე ტყემლის გამო შეიძლება, გაულტყვადეს ადამიანს კბილები, შალვას გონებასა და სხეულში რაღაც სწორედ ამდგავარად უსიამოდ იმიფრებოდა: ეპიზოდი, როცა ის უგონოდ მთვრალი, მეგობრებთან ხელგადახვეული, მოაზიფებდა სოფლის მდებარე და უმოწყალოდ თელავდა უწყინარ ყვაილებს. თელავდა გამონვნივლი ხელს, თელავდა მშობლების იმედებსა და ნდობას, თელავდა იმ სიყვარულს, რომელიც ჯერ არ შეპყროდა, მაგრამ, ცოტაც რომ დაეცდია, მალე მოედებოდა მის გონებასა და გულს და იქნებ... იქნებ უკეთესი მიმართულებაც მიეცა მისი დაბინდული, დაბოლილი და უმადური არსებობისთვის.


უცებ გულისრევის შეგრძნებამ გამოაფხიზლა და სწრაფად წამოდგა, აბგაში ჩადგებული ნახევარლიტრიანი პოლიეთილენის ბოთლი ამოიღო და თბილი წყალი ოდნავ მოსვა. ერთი მუჟა წყალი სახეზე მოისვა და ისე გაიქნია თავი, როგორც ძალიან იფრთხილავს ხოლომე ბუნებს წყლის წვეთებისგან. ამ დროს ძალიან სასიამოვნო შესახედი იყო: მალალს ვერ იტყოდი, თუმცა გრძელი ფეხებისა და წერილი წელის გამო საშუალოზე მაღალი ჩანდა. ბუნებისგან ნაბოძები შემალეული და განიერი მხრები, მიუხედავად საკუთარი თავისადმი დაუდევრობისა, ჯერ კიდევ ასაკის წყალობით შეულახავი და შეუდრეკელი უჩანდა.

სწორი და გრძელი ფეხები მყარად ედგა მინაზე და ერთი შეხედვით ძლიერი და გონიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სახეზე უფრო მეტად ემჩნეოდა უდიერებისა და დაუდევრობის კვალი, ქუთუთოები ოდნავ შეშუპებოდა და უპეებიც კარგად გვარიანად ჩაშვებოდა. ნაბლისფერი დიდი თვალები, მოლილი და დაწითლებული კანს დაემალო. თვალებს წყლიანი გამოხედვა კიდევ შემორჩენოდა და სახის დაღარულ ნაკვთებს ჯერ კიდევ უმკლავდებოდა — ეშხა და სანდომიანობას სძენდა მის მთლიან გარეგნობას.

ეს შალვასთვის ვინმეს რომ ეთქვა, სიცილიდაც არ ეყოფოდა.

წყალი ოდნავ შეეხიდა. თვალები ძლიერ დახუჭა და შეეცადა, მოსული აზრები ისევ შორს და დიდი ხნით გაეფანტა. „საკმარისია თვითგვემა“ — შეუძახა საკუთარ თავს. ყორღვარდებს კიდევ ერთხელ გადახედა და შეუსვენებლად ჩაუყვავა მთის ფერდობს.

შორიდანვე დაინახა პაპის ეზოში მოფუსფუსე ხალხი. გულმა ცუდი უგრძნო. ნაბიჯს აუჩქარა. გზა კი, ასე არხეინად რომ მიუყვებოდა ხოლმე, უსაშველოდ ინელებოდა. ეზოში შესული ორ ნახტომში შევარდა ბელეტაყის წინკარში, სადაც დეი-



ნატალია ბეიტრიშვილი
ფურისულისებრნი

და მარიამი შეეფეთა, მხრებზე მაგრად მოუჭირა ხელები და გამაგრდით, მოუნდა. ეს კადრები და ეს ხმები ისე უცნაურად უფერდა ყურებში, როგორც გაფუჭებულ გრამფონში დაკრული ძველებური ფირფიტის ხმა.

ხის ტახტზე, რომელზეც ძველი თუშური ფარდაგი გადაეფარებინათ, გულზე ხელებდანყობილი ინვა შალიკო პაპა, სქელ, უცნაურ ულვაშებანი მოხუცი, გლეხური ქუდი, ხევესურული წინდებითა და ძველი ნაღებით. ამ ბოლო დროს ზაფხულობითაც სულ სციოდა და ცხვრის ტყავსაც გადაიცვამდა ხოლმე გარეთ გასვლისას, ემანდ ფილტვების ანთება არ გამიქორდესო. ეს სურათი იმ თოფის ხმაზე უფრო შემადრწმუნებელი და გულსგამხეთქავი იყო, შალიკო პაპამ მის ბავშვობაში ტყეში შემოღამებისას ტურების დასაფრთხობად რომ გაისროლა. შალვამ ტახტთან დაიჩოქა და ხმამაღლა აქვითინდა. ოდნავ გონზე რომ მოვიდა, აქეთ-იქით ერთი ხელის მოსმით მიმოფანტული მანუქებლებისგან მოჩიქრეული პერანგი რომ გაისროლა და მიმოიხედა. ნახა, რომ თითქმის მთელს სოფელს მოეყარა ეზოში თავი, აბა, ასე ოლი სახახავი კი არ იყო მისი ცრემლები. მშობლების სიკვდილიც არ დაუტრიალა ასე გულამოსკვნილსა და სასონარკვევითა. მიხვდა, რომ ძალა წართმეოდა და იქვე პაპამისის შეკრულ ჯორკოზე ჩამოჯდა, სახე ხელებში ჩარგო და მწარედ უჭერდა ძლიერ თითებს თავის ქალას.

ცოტა ხანში მხარზე მძიმე და უხეში მტევანი იგრძნო, პაპა თედო იყო, მისი ბავშვობის მეგობრის, პაპკანას პაპა, რომელიც სულ რამდენიმე მოსახლის იქით ცხოვრობდა მისგან. პაპა თედოს დანახვაზე გული ისევ აუჩუყდა, მაგრამ ამჯერად თავის ხელში აყვანა შეძლო. გარეთ გავიდნენ. თედო პაპამ ათასჯერ დაკრებულ ჯიბიდან უფილტრო მყარალი სიგარეტი ამოიღო, კარგა ხანს სრისა ხელში და ბოლოს გააბოლდა.

— მეც მომანევი რა! — სთხოვა შალვამ.

— მეგონა, თავი დაანებე, ისეთ ადგილას ხარ... — შემცბარმა, მოულოდნელ მხუზარებას დააბრალა შალვას სისუსტე და მეორე ღერი მიანოდა, — ყველანი აქ ვიყავით. ბევრი არ უნვალა, შვილო!

— რა თქვა ბოლოს? რამე დამიბარა?

— რას იტყოდა, აბა, კაცო. შენ გნატრობდა. კარ-მიდამოს მიხედვა უნდაო. ჩემი შალიკო დიდი კაცი და აქაურობას უნდა მიხედოს ჩემს შემდეგო. დარდობდა ლიაზეც...

— ლიაზე? რომელ ლიაზე?
— ოხ, შალვა, შალვა. ბავშვობიდან შენზე რომ არის შეყვარებული იმ ლიაზე, ბიჭო. შენ მართლა დაგვიწყნა ყველაფერი, თუ?..

— ეჰ, თედო პაპა. რად უნდა ანგელოზებით გოგოს ჩემნაირი კაცი, პა?

— იმას რად უნდა კი არა და შენ გინდა, შენ! რა გინდა, ბიჭო, რას დანანალე იმ მამაობთან? რა დაგრჩენია იქ? მეღაანთ ვანოც იქ არ წავიდა?! მიატოვა ოჯახი და შეყვარებული, დედ-მამა, უმცროსი და-ძმა და ახლა, მოიცა რა თქვა? ხო, მამა მიქაელი ვარო, ასე მომმართეთო, ასე გვითხრა, აღდგომის დღეების შემდეგ რომ ჩამოვიდა წინაპართა საფლავების მოსანახულეზად. ყველა მონასტერში რომ წავიდეს და ყველამ ლოცვა დავიწყოთ, პურს ვინ აჭმევს ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს.

ბალებს ვინ ჩააცმევს, ვინ დაიცავს ქალებსა და ქვეყანას? ეეჰ, რა აზრი აქვს ჩემს ლაპარაკს ნეტა ერთი?!

— პაპა თედო, ყველა მაინც ვერ წამოვა იქ...
— რათა, კაცო? გგონია, იქ ყოფნა უფრო მძიმეა? იქ ის უნდა აკეთო, რასაც გეტყვიან, ილოცო და... ფიქრი აღარ გჭირდება, ჰოდა ტვინის რაღაც ნაწილი ისვენებს. ადამიანში კი ჩადებულა სიზარმაცე, შვილო! ჩადებულა და ოდნავი შევებაც თუ აგრძნობინე, იქითკენ მიინვეს. გინახავს შენ, რომ მხოლოდ ლოცვას გადაერჩინოს კაცი? ლოცვამ კი არა, ადამიანი შრომამ შექმნა და შრომა გადაარჩინა! იესომაც მხოლოდ 12 მოციქული მოაცივინა საქმეს. აბა, რად არ ჰყავდა 100 მოციქული ან 200? იმადა, რომ ამდენ ადამიანს ვერ მოაცივინდა. მთელი ჩვენი რელიგია და რწმენაც შრომაშია, შვილო ჩემო, ერთმანეთზე ზრუნვაში, სიყვარულში. შეიძლება თქვა, ამ უნიგურმა და გაუნათლებელმა კაცმა ნეტა რა იცის, მარა... სიბრძნე ხალხშია და ხალხია თავად სიბრძნე. მეტს აღარაფერს გეტყვი.

— რთულია ჩემთვის შალიკო პაპას გარეშე, თედო პაპა! — და ისევ ცოტა დააკლდა შალვას, პაპიროსის ბოლთან ერთად სლუჟნი არ ამოეყოლებინა.

— რთულია ჩვენი საყვარელი ადამიანების გარეშე, ჩემო ბიჭო! ლიზიკო ნაზუქებს კარგა ხანი ვეღარ აცხობდა. ბოლოს გოგის თვალხატულა გოგონა რომ 4 წლის გახდა, პირველად მაშინ გამოაცხო ნოდარის სიკვდილის მერე. ტილოში გახვეული ნაზუქებს რომ აბრუნებდა ლიზიკო, უცებ ისე ცხადად წარმომიდგა ნოდარი თავის აკაპინებულ მწვანე პერანგში, უკნიდან მალვით როგორ პარავდა ნაზუქებს... პერანგში ჩალაგებული ცხელი ნაზუქებით როგორ ითუთავდა მუცელს და „პანკანას“ ძახილებს როგორ გაიქცა. გადმოველო ჩვენი ეზოს ღობეს, — ამ დროს მოხუცმა ცრემლი ვერ შეიკავა.

— პაპა თედო, პანკანა მეც ხშირად მომელანდებოდა ხოლმე. ხან შორიდან თითის მიქნევს, ხანაც ფეხბურთის სათამაშოდ მეძახის... მის სიკვდილთან მართლა რა მოსატანია ამ მოხუცი კაცის...

თედო პაპამ გაანწყვეტინა:
— განა მაგიტომ გავიხსენე, შე მამაძაღლო, პა?! დანაკარგმა ასაკი და დრო არ იცის. არც ტვილის გაზომვა შეიძლება. შენ პაპას გაზომილი ხარ. სკოლაში არ დადიოდი, მშობლები რომ დაგეზოცა, გაანათლოს მათი სული უფალმა. შენთვის შალიკო დედაც იყო და მამაც, სანამ ბებიაშენი შვილსა და რძალს გამოიჭირებდა, ის გზრდიდა და გაყენებდა ფეხზე. ამიტომ სტიკოდა გული შენს არჩევანზე!

— მე სწორ გზას ვადგავარ, თედო პაპა!

— ი, რა სწორ გზას, შალვა?! რომელ

სწორ გზას? პირველივე ტვილის შემთხვევაში რომ ისევ სიგარეტს აიღებ პირში? პირველივე იმედგაცრუებისას რომ გაიღებოდა და დაიფრებოდა?

— ჰოდა, საცდური აღარ მექნება იქ!

— მერედა მაგია ვაჟკაცობა? გაექცე ყველას და ყველაფერს? მაშინ ხარ კაცი კაცური, როცა მაცდურს მარტოკა ჩახედავ თვალებში და დასცემ ზურგზე, კი არ გაექცევი და მთელი ცხოვრება დაემალე! და იცი რატომ, შალიკო? იმიტომ, რომ მაცდური და უმბავი ჩვენი, ყველა ადამიანი და საკუთარი ეშმაკებს თუ არ მოვერიეთ, ისე ვერსად გავექცევით!

ამ დროს ახალგაზრდებმა დაუძახეს შალვას, გასვენებისა და პანაშვიდის ამბები იყო მოსავარებელი.

გასვენების დღეს, როცა ეზოში საბოლოოდ დასვენეს ხის ძველებურ ტონის სკამებზე სასახლე, შემდეგ კი ეს სკამები გადაატრიალეს და ისე დატოვეს ეზოში, ძველებური ჩვეულების მიხედვით, მარჯვენა მხრით კუბოს შემდგარი შალვა ვილაცის სუსტი ქვითინის ხმამ მიახედა უკან. ჩაბნელებული წინა ოთახის შორეულ კუთხეში მიყუჟული სრული, შავებში ჩაცმული, გოგონა დაინახა — თავჩახრილი იჯდა და ტირიდა თავისთვის. გული ძლიერ მოეუნრა და მხოლოდ ახალა გაახსენდა, რომ მთელი სამი დღე ის გოგონა იქ იდგა და დამტირებლების გრძელ მონილოგებზე გულაჩუყებული ქვითინებდა.

ქელეხზე იმდენი იტრიალა, ლუკმაც არ ჩავლოდა პირში. ხალხი რომ წავიდნამოვიდა, მეზობელმა ბიჭებმა, მარტო არ დაეტოვოთ თავის უბედურებასთან და, მასთან გაათენეს ღამე. იმ ღამით შალვას კუჭს პირველი ღვინო შეეხო და დალილსა და უჭმელს მალე მოეკიდა. მეორე დილით ბიჭები საქმეებზე წავიდნამოვიდნენ, შალვას კი გვიან გაეღვიდა და ტვილი იგრძნო წელის და ზურგის არეში. ცოტა ხნის შემდეგ, ფოკუსირება რომ შექმნა, მიხვდა, რატომ ტვილიდა ასე ძალიან ზურგი — სამიწელ პოზაში ჩასძინებოდა.

— იმ შობელძაღლებმა წორმალურად მაინც ვერ დამანვივნეს, მე მაგათი... — ჩაიბურტყუნა.

ამ დროს შეამჩნია, ფანჯარასთან როგორ წამოიწია ვილაცის სხეული. მიუხედავად იმისა, რომ თვალებში კარგად ვერ იხედებოდა ჯერ კიდევ, მაინც მოახერხა გაერჩია, ვინ იყო მასთან სახლში. ეს ის მგლოვიარე გოგონა იყო, გასვენებაზე მარტო რომ დარჩა სახლში და თავისთვის აგრძელებდა ტირილს.

— გელოდებოდი, როდის გაგეღვიძებოდა...

„გამეღვიძებოდა, გაიღვიძებდი კი არაო. რა საინტერესოა, ვინ ვგონივარ მე“ — ფიქრობდა შალვა.

— წვნიანი მოგიტანე. თუ ახლა მიირთმევ, გაგიბობო. გამოგიყვანს ნაბახუსევადან.

— გიცნობ?

გოგონას სახე შეეცვალა, ისე ბუნებრივად, თვით საუკეთესო მსახიობიც კი ვერ მოახერხებდა ტვილისა და წყნის ამდგვარი ნაზავის ასე ფაქიზად და უშუალოდ გადმოცემას.

— მე ვინ ვარ, შალვა? თუ ვინ ვარ, ესე იგი, არავინ ვარ. უბრალოდ მოვედი, რომ ნაბახუსევადან ადვილად გამოგიყვანო. წინ ბევრი საქმე გელის.

— რა საქმე?

— როგორ თუ რა საქმე, შალვა?! ეხუმრები პაპაშენის კარ-მიდამოს. ბარე ორს თუ ექნება ამხელა მინები და ამხელა ეზო ჩვენს სოფელში. ამ ყველაფერს შენ უნდა მიხედო.

— და შენ რატომ გადარდებს, მე მივხედავ თუ არა?

— სამართალი რომ იყოს ამ ქვეყანაზე, არ უნდა მდარდებდეს, მაგრამ ვაი, რომ ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით არ ხდება.

— შენ ჩემი ნაბახუსევადან გამოსაყვანად მოხვედი თუ თავის ასაკტვივებლად?

ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა.
გოგონამ პატარა, ძველი ემალის ქვაბი ნაჭრის ჩანთიდან ამოიღო და ორსადგამიან გაზის ქურაზე შედგა. კოვზის პოვნა არ გასჭირვებია, ამოურია ქვაბს და იქვე მდგარ ხის სკამზე ჩამოჯდა. თვალებით იატაკს ათვალეურობდა, უფრო დაკვირვებულნი კი შეამჩნევდნენ, რომ სიტყვებს ეძებდა, პოულობდა და მერე უბრალოდ ხელჩაქეული ისევ კარგავდა ნაპოვნს.

— რა გემრიელი წვინიანი! შენ მოამზა-
დე? ყოჩაღ! კარგი ცოლი გამოვა შენგან!
— თითქმის არც კი ელოდებოდა პასუხს,
ისე მიაყარა პირგამოტყნულმა შალვამ წი-
ნადადებები ერთმანეთს.

ვერ კი არა, არამედ უფრო არ ხვდებო-
და, მისი სიტყვები ტყვიასავით მწარე და
გულსაკლავი რომ იყო გოგონასთვის.

წვინიანი რომ ბოლომდე შესვლივა და
წინა დღის საქვარებს დაწვავდა მიაყოლა
ზედ, მერე და უწყო თვალთვლება შეპა-
რვით.

მის სტუმარზე ერთი შეხედვით ლამაზს
ვერ იტყობდი. დაბალ, სრულ, მხრებფა-
რთე და მკერდავსე ასე ოცდაორიოდე
წლის გოგონას სქელი და გრძელი ნაწნავ-
ად დალაგებული თმა ლაზათიანად გად-
მოედო მხარზე. სახეც სახეს ჯანსაღი და
სოფლური იერი დაჰკრავდა — ვარდისფ-
რად მოლაქაქვე ფართო ლოყები, სწორი
და პატარა ცხვირი, გადაკალმული წარბე-
ბი და ნაბლისფერი თბილი, მზრუნველი
თვალეები. ტუჩების კენჭის ცუდი ჩვევის
გამო, თავიდან ვერც გააჩქვდით, თუ რო-
გორი ტუჩ-კბილი ჰქონდა, მხოლოდ საუბ-
რისას თუ გაუელვებდა მარგალიტის
თეთრი კბილები ბაგეებს შორის. საუბრ-
ისასაც კი ეჩუტებოდა მარჯვენა ლოყა და
დამორცხვებისას ისე ნითლდებოდა, ტუ-
ჩებსა და ლოყებს ერთი ფერი ედოთ.

როცა სტუმარი თევზს რეცხავდა ჯამ-
ში დაგროვებულ წყალში, ოთახში თედო
პაპა შევიდა მძიმე და წელი ნაბიჯით. მას-
თან საუბარში გართულმა შალვამ გოგონ-
ას ნასვლა ვერც შეამჩნია და არც შეიმჩ-
ნია. საკუთარ თავს ამაზე ფიქრის უფლე-
ბას რატომღაც არ აძლევდა. თუ რატომ,
ეს ალბათ თავადაც არ იცოდა ზუსტად.

მეორე დღით, წყალზე ჩასულს, ვილა-
ცის გულშიჩამწვდომი კისკისის ხმა მოეს-
მა. დაინახა წყაროს არხთან ბავშვები რო-
გორ ეწუნებოდნენ მის წინააღმდეგ სტუ-
მარს, ისიც ძალდაუტანებლად ეთამაშებო-
და სოფლის გოგო-ბიჭებს და მხიარულად
იცინოდა.

შალვა გაუცნობიერებლად ამოფარა
ბზის ბუჩქებს. გულს მაღამოდ მოედო ამა-
თი თამაშის ყურება. ეს გოგონაც საოცრად
ლამაზი იყო. სიცილი ნამდვილად შევნი-
და. თვალეები სიცოცხლით უბრწყინავდა.
არაფერი აღამაზებს დაამიანს ისე, როგ-
ორც სიცილი, სიხარული და ბედნიერება!
სხეულის მსხვილი ფორმების მიუხედავად,
ჰაეროვანი მიხვრა-მოხვრით ოსტატურად
უსხლტებოდა გოგო-ბიჭების სეტყვას და
არც თავად უდებდა ტოლს — კარგად უხ-
დიდა სამაგიეროს ონავარ ბავშვებს. როცა
სიცილით გული იჯერა, წყენისა და საყვე-
ღურის გარეშე დაემშვიდობა უზნის ყაჩა-
ღებს და ფუთიანი სათლევების თავიდან ავ-
სება დაიწყო. დასველებული ტილოს კაბა
მჭიდროდ შემოეტმასნა მის მომრგვალე-
ბულ ფორმებს. წყაროსთან რომ დაიხარა,
გული ამოვარდნაზე ჰქონდა. მისი ფუმფუ-
ლა მკერდი კაბის დეკოლტედან გადაფუე-
ბული ცომივით გადმოდიოდა. შალვამ იგ-
რძნო, როგორ მოაწვია სისხლი. უყურებდა,
როგორ ლამაზად და ლაზათიანად გაიმა-
რთა გოგონა, სველი ნაწნავი მხარზე გად-
მოიგდო და ორი სახეც სათლით გაუდგა

გზას. წყალი სულ დაავინყდა შალვას, უკან
გაბრუნებას აპირებდა, როცა მშველელად
ისევე თედო პაპა შეეფეთა.

— ლამაზი გოგოა ჩვენი ლია. ქალაქელ
უნდილებსა და ქლექიანებს კი არა ჰგავს?!

პაპას გარდაცვალებიდან მეცხრე დღე-
ეს შალვამ ვერ ყოჩივარდებით გადაპენ-
ტილი ფერდობი მოინახულა, დაკრიფა ყვ-
ავილები და სოფლის სასაფლაოსკენ გა-
სწავა.

სასაფლაოსთან მხოლოდ საცალფეხო
ბილიკი აღიოდა. ჯერ დილის 7 საათიც კი
არ იყო. ადრიანად ადგა, სიციხეში სიარუ-
ლი რომ აერიდებინა თავიდან. ხალხის ნახ-
ვაც დიდად არ ეპიტნავებოდა.

შორიდან შეამჩნია ვილაცის ფუსფუსი.
იფიქრა, მესაფლავე იქნებაო.

ახლოს რომ მივიდა, ლურჯ წინსაფარში
გამოწყობილი, კოხტად, ლაზათიანად, თუ-
მცა უბრალოდ ჩაცმული ლია დახვდა —
ტიტებისა და ნარცისების ბოლქვებს პაპა
შალიკოს საფლავის გარშემო რგავდა. შა-
ლვას მოსვლას ალბათ ელოდა — არ შემ-
ცბარა მის დანახვაზე.

— ძალიან უყვარდი პაპას!

— ვიცი, მეც ძალიან მიყვარდა შენი პა-
პა შალიკო.

— ჰო, მისი ბრალი იყო შენი ბავშვური
ილუზიებიც.

— არა, ცდები! მისი ბრალი არაფერშ-
ია. მას უბრალოდ ძალიან უყვარდი შენც
და მეც.

— რატომ შენუხდა?! ამდენი ყვავილი
რა საჭირო იყო?! მაგას ხომ მოვლა უნდა?!
ამ დროს შალვამ პაპას საფლავზე ყოჩი-
ვარდები დააღაგა.

— არ გიყვარს ყოჩივარდები?

— პირიქით, ძალიან მიყვარს. რომ არ
მიყვარდეს, ხომ არც მოვიტანდი?! — რა-
ღაცნაირად მოღრეცილად გაეღიმა შალ-
ვას.

— როცა გიყვარს, უველი! — მოკლედ
მოუჭრა ლიამ. დაიფერთხა წინსაფრის კა-
ლთა და წამოდგა.

— მე მონასტერში ვბრუნდები, ლია!

— ვიცი, მითხრა სოსომ.

— ხო, სოსოს ცოლი მოჰყავს და ჩემი
კარ-მიდამო დაგუთმე, იცხოვრებს და ლუ-
კმა პურსაც იშოვის.

— ?..

— შენც იფიქრე საკუთარ ცხოვრება-
ზე. ნადი ქალაქში, უნივერსიტეტი დაამ-
თავრარ და აქ ასწავლის სკოლაში, მით-
ხრა პაპა თედომ. შენც ნადი და ქალაქში
გააგრძელე მუშაობა. იქ ცოტას გახდები,
ლამაზად ჩაიცვამ და ქმარსაც იშოვი.

ლიამ გამომცდელად ახედა შალვას.
თითქოს ერთ წამში დაეკარგა რიდიც და
პატივისცემის სურვილიც.

— სად ვბრუნდები, შალვა? რა მითხა-
რი?

— მონასტერში.

— არა, არ მჯერა. ახლა სატანის მოცი-
ქული უფრო საუბრობდა შენში, ვიდრე ქრ-
ისტესი.

ლია ისე შეტრიალდა და დაემუა სოფ-
ლისკენ, უკან აღარ მოუხედავს.

არც არავის გაუჩერებია.

გოგა გუგავა

გული

თუ გნებავთ, გულნარა

60-იანი წლების დასაწყისში დასაე-
ლეთ საქართველოს ერთ პატარა რაიონში
დაიბადა გოგონა, რომელმაც 60 წელი იცხ-
ოვრა ამ წუთისოფელში და აგერ უკვე ერთი
წელია, რაც მინას მიაბარეს იმ ხელებმა,
რომლებმაც ნაირევი დატოვეს სახეზე.

ქალი სახედად გული (მოგვიანებით
„გულნარა“) იყო ის ფენომენი, რომელიც
თავისი იდუმალებით ბავშვებში დაუცხ-
რომელ ინტერესს იწვევდა. ქალი სახეზე
ნაირევი, ნაბლისფერი თმით და დიდი
შავი თვალებით ბავშვობის მოგონებაში
დარჩა.

დეიდაჩემი, რომელიც გულოსთან სხვე-
ბზე ახლოს იყო, ამ უკანასკნელის გარდა-
ცვალებიდან ორი წლის თავზე ენისა და
ქვედა ყბის სიმსივნით გარდაიცვალა. გუ-
ლოს გარდაცვალების შემდეგ, როცა დეი-
დაჩემს სიმსივნე დაუდგინეს, იგი სულ სხვა
ქალად იქცა. სიტყვაქუნი დეიდაჩემი რა-
მდენიმე დამეში შეჭერზედად გადაიქცა,
თუმცა იმ განსხვავებით, რომ ამბებს ბოლ-
ომდე ჰყვებოდა. ამას მხოლოდ ერთი ახს-
ნა შეიძლება, მოეძებნოს — რომელიმე კო-
ნკრეტული ამბის მომსწრეთაგან ბოლო
ცოცხელ ადამიანს ამბის კანონი ავლადე-
ბულებს, სიციხეზე შეუწარჩუნოს ამ ამბა-
ვს და დამახინჯებული სახით ხეტილის-
გან იხსნას. რალაც ასეთის გამო აშეშალა
ბოლო დროს საღერდელი დეიდაჩემს და
გულნარას ამბავიც მაშინ მომიყვა.

თურმე გული ახალგაზრდობაში ისეთი
ლამაზი არ ყოფილა, როგორც მისი თანა-
ტოლი გოგონები. ბიჭებთან ერთად სულ
ფეხბურთს თამაშობდა და მოკლედ შეჭრ-
ილი თმით ყველას ყურადღებას იქცევდა.
ცხრავე ბიჭს გულის სიღრმეში გული მოს-
წონდა, თუმცა ამას არც ერთი აღიარებდა.
ეგ კი არა, ნახევარი სკოლა აქილიკებდა
თავისი მასკულიური ჩაცმულობის და
ქცევების გამო, თუმცა მასთან ახლოს ყო-
ფნისას ყველა სანთელივით დნებოდა. სკ-
ოლის დამთავრების შემდეგ გული რადი-
კალურად შეიცვალა: თმები გაიზარდა, კა-
ბების ჩაცმა დაიწყო და ბევრად უფრო ნა-
ზი გახდა, ვიდრე სკოლაში იყო. მიუხედა-
ვად ამ ცვლილებებისა, ის ხასიათი მაინც
შეინარჩუნა, რომელიც ბიჭებთან თამაში-
სას მათი ფეხების მტკრევისას ჩამოყვალ-
იბდა. სწავლა ქუთაისის რომელიღაც უნი-
ვერსიტეტში გააგრძელა, სადაც პირველი-
ვე სემესტრის ბოლოს უკვე ყველა იცნობ-
და. მეგობრებიც ბევრი ჰყავდა და თავიან-
ისმცემლებიც, მაგრამ ბიჭებში მხოლოდ
მეგობრებს ხედავდა.

გაიარა რამდენიმე წელი და მესამე
კურსზე მყოფ გულოს იქაური თეატრის მს-
ახიობი ლევანი შეუყვარდა, რომელიც ძი-
რძველი ქუთაისური ოჯახიდან იყო. ლევა-
ნის გულმაც გულოს გულს უპასუხა და უნი-
ვერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაქო-
რწინება გადაწყვიტეს. ქორწილის წინა ლა-
მეს უბანში მისული ლევანი მეგობრების
ჩხუბს შეესწრო და შუაში ჩადგა გასაშველ-
ებლად. ამ დროს თავისივე ბავშვობის მე-
გობარმა მოქნეული დანა ლევანს გამოუს-
ვა მუცელში და პირდაპირ აორტა გადაუ-
სერა. 5 წუთიანი ძიძგილობის შემდეგ ლე-
ვანი ჩაიკეცა და იქვე სისხლისგან დაიცა-
ლა. მეორე დღეს ნახევარი ქუთაისი შეიკ-
რიბა ლევანის ბინასთან. ცოდვის ტრიალი
იყო იმ დღეს ქუთაისში. ლევანის მეგობარ-
მა ერთი თვის თავზე იმავე დანით ვენები
გადაიჭრა და სააბაზანოში იშოვეს. გული
ლევანის სიკვდილის მომენტში სახლში იყო
მეგობრებთან ერთად და მეორე დღისთვის
საქორწინო კაბას ისინჯავდა. ბიძამისმა
მიაკითხა წამოხილი სახით და უთხრა, ლე-
ვანი დაჭრილია და მძიმედააო. გული სა-
ქორწინო კაბით გავარდა და საავადმყო-
ფომდე ნახევარი გზა ფეხით იარა. იქ მისუ-
ლს გული წაუვიდა და ერთი კვირა სხვა სა-
ავადმყოფოში გაატარა.

ორი წელი სახლიდან არ გასულა გუ-
ლო. გახდა იმდენად, რომ ერთი შეხედვით
ვერავინ იცნობდა. თუმცა, ამ ყველაფრის
მიუხედავად, როგორც დოსტოევსკისთან
— აქაც იტირეს, იტირეს და შეეჩვივნენ ყო-
ველივეს. ცოტა ხანში გულოც დაუბრუნ-
და სამყაროს. ექთან დაიწყო მუშაობა და
ცოტა ძალაც მოემატა. ასე გაიარა ოთხმა

წელი, სანამ მის ცხოვრებაში თბილისი-
დან ქუთაისში მიწვეული ექიმი მერაბი არ
გამოჩნდა. საიდან არ მიუდგა მერაბი გუ-
ლოს, მაგრამ ვერაფერი მოახერხა, სანამ
თვითონ გულოსაც არ გაუჩნდა სიმპათია
მის მიმართ. ორი წელი იმუშავა მერაბმა
ქუთაისში. მალევე თბილისში უნდა დაბრუ-
ნებულყო, რადგან ახალ კლინიკაში მთა-
ვარ ექიმად მიიწვიეს. მერაბისთვის თბილი-
სში გულოს გარეშე დაბრუნება წარმოუდ-
გენელი რამ იყო, ამიტომ დარჩენილი 3 თვე
გულოს დათანხმებას შეაღია. ერთ დღე-
საც, რამდენიმე საათიანი საუბრის შემდეგ,
მერაბმა დათანხმა გული, რომ მასთან
ერთად წასულიყო თბილისში და იქ ექორ-
წინათ. გულმ რა იცოდა, თბილისში ჩას-
ულს რამდენიმე თვეში ახალი ტრავედეა
რომ ელოდა. ქორწინამდე ერთი კვირით
ადრე ქუთაისიდან მიმავალი მერაბი მცხე-
თასთან ავარიაში მოხვდა. თავისივე საავა-
დმყოფოში მიყვანილმა ერთ საათში სული
ისე დალია, რომ ახლობლებმა მისი ნახვა
ვერ შეძლეს. ვერც ლევანს და ვერც მერა-
ბს მიუსწრო ცოცხალს გულმ. ამ ყველაფ-
რის შემდეგ ცოცხალ-მკვდარი გული თავი-
ის რაიონში დაბრუნდა და ქალაქისკენ პი-
რი აღარ უქნია. 29 წლისა იქნებოდა, ცხოვ-
რებაზე ხელი რომ ჩაიქნია. რამდენიმე წე-
ლინადმი დედამისი გარდაიცვალა და და-
რჩა გული მართო ქვეყანაზე. გავიდა წლე-
ბი და ერთ დღესაც გული მოკლედ შეკრე-
ჭილი თმით და სახეზე ნაირევივით გამოე-
ცხადა თანსაოფლელებს. რალაც დაუჯე-
რებელი ტყუილი უთქვამს ხალხისთვის ნა-
იარევეთან დაკავშირებით, თუმცა ეჭვი არ-
ავის გასჩენია.

დეიდაჩემი ერთ-ერთი იყო იმ სამთა-
გან, რომელიც სინამდვილეში იცოდა ნა-
იარევის ნამდვილი ისტორია, თუმცა სან-
ამ დანარჩენი ორი არ გარდაიცვალა, მან-
ამდე ამ საკითხზე კრინტიც არ დაუძრავს.
ახლა კი, როგორც ზემოთ ვახსენე, ამბის
კანონის თანახმად, გააუღერა ეს ისტორია,
რათა შემდეგ დაუსრულებლად არ ეხეტი-
ლა ამ ამბავს უსასრულობაში და ჭორის
სახე არ მიეღო.

გულოს ერთ ღამეს თავისივე თანაკლა-
სელი მამუკა ესტუმრა. მამუკა მასთან ერ-
თად თამაშობდა ფეხბურთს და მთელი ცხ-
ოვრება მზე და მთვარე ამოსდიოდა გულო-
ზე, რაიონში ჩარჩა და სხვა ქალისკენ არც
გაუხედავს. მორიდან შენატროდა გულოს,
რომელსაც ხელის გულზე ატარებდნენ ბი-
ჭები. გულოს ტრავიკული ცხოვრების გა-
მო მამუკაც იტანჯებოდა, თუმცა სადაც
გულის სიღრმეში, ალბათ, გაუხარდა კიდ-
ეც, რომ თანაკლასელი და მთელი ცხოვრ-
ების სიყვარული ისევ იმ რაიონში დაბრუნ-
და, სადაც თავად ცხოვრობდა. ერთ სალა-
მოს მამუკამ გამბედაობისთვის ცოტა და-
ლია და გულოსთან მივიდა. გულოს არან-
აირი რეაქცია არ ჰქონია მის სტუმრობა-
ზე, სანამ მამუკამ გუდას არ მოხსნა პირი.
სიყვარულის ახსნას გულმ ყურადღება
არ მიექცია, თუმცა საკოცნელად განუეულ
მამუკას მაგიდის სანაწი ჩაარტყა თავში.
ბოდისის მოსახდელად განეულმა მამუკამ
მასთან ძიძგილობაში ხელზე წამოცმული
გასაღებების აცმა შემთხვევით ჩამოუსვა
ლოყაზე. შემდეგ ბოდისების ხდით გავიდა
მისი სახლიდან და ერთი თვე რაიონში აღ-
არ გამოჩენილა.

გული ორმოცს რომ გადასცდა, იქაუ-
რი საავადმყოფოს ერთოთახიან მორგში
დაიწყო მუშაობა, პარალელურად, სადაც
კი ვინმე მოკვდებოდა, ყველა მას ეძახდა
მიცვალებულის „გასაპატიოსნებლად“. ამის
შემდეგ იქცა გული გულნარად და ყე-
ველა ასე მოიხსენიებდა. მიუხედავად იმი-
სა, რომ ამ პატარა რაიონში თითქმის ყვე-
ლა მიცვალებულის გასაპატიოსნებლად
მას ეძახდნენ, გულნარას მაინც სიბნელის
ემიწიოდა. ამიტომ ღამით მიცვალებულთან
მისულს სახლში დასაბრუნებლად ვინმე
თან უნდა გაჰყოლოდა.

ერთი წლის წინ გულნარა გარდაიცვა-
ლა. მისი კუბო სხვებთან ერთად მამუკამ
მიაცილა სასაფლაომდე. ერთ წელიწადში
მამუკაც უკან მიჰყვა და სადაც შორიახ-
ლოს, რამდენიმე საფლავის დაშორებით,
დასაფლავდეს...



„რა პარადოქსით ამოძრავებს ხსოვნის სინკოპი ანგმოს წყველიაღებს, რა აღმავალ-დაღმავალი კადენციებით ისრისება გარემო, როგორც ლაზერით დახაზული ფოს-ფორისფერი კარდიოგრამა გულისფიცარზე“.

მაკა ჯოხაძე

არის დღეები, როდესაც წიგნის თაროები დახოცილი ჩიტებით სავსე გალია გგონია, ხოლო სულზე ფესვის კლანჭებით ჩაფრენილ-ჩაბლაუჭებული სევადა კი მარადიული (ლამის დაბადებამდე!). სევიდა-ნია ყველა შენი ქმედება, ფიქრი და სივრცე: დღის რუტინა, წიგნის შერჩევის პროცესი, სიზმრები, ოცნებები, ნივთები, სახლი... დრო გადის და ხვდები, რომ „განწყობილების პატიმარს“ (ლია სტურუა) ემსგავსები, იკლებს სიციცხლით ტკობის ნეპილობა, მთელი შენი შინაგანი სამყარო (შინაგანი დროც!) ფერფლისფერი ნისლითაა დაბურული. ნისლის განოვს, მისი ამოტუმბვის ერთადერთი საშუალება, ხსნა, გზა პოეზიაა, პოეზიასთან ზიარების ნამი. მაგრამ როგორ გინდა, იპოვო ცოცხალი ხმა სისხლიანი ჩიტების გვამებში? თავდაპირველად ყდებს შორიდან ზეფრავ, მერე ეხები, რამდენიმე კრებულს ფურცლავ, ისევე უკან აბრუნებ და სხვა თაროებისკენ ინაცვლებ... ინაცვლებ და ხორხე ლუის ბორხესის ფრაზა გასხენდება მისივე ლექციიდან — „ლექსის პირველი წაკითხვა ყველაზე ნამდვილი. ამის შემდეგ მხოლოდ თავს ვიტყუებთ და ვცდილობთ, დავიჯეროთ, რომ შევძლებთ იმ თავდაპირველი შეგრძნების, შთაბეჭდილების ხელახლა გაცოცხლებასა და განმეორებას... შეგვიძლია, ვთქვათ, რომ პოეზია ყოველ ჯერზე რაღაც ახალ გამოცდილებას იძლევა. ყოველთვის, როცა ლექსს ვკითხულობ, ჩემში გამოცდილების შექმნის აქტი უნდა განხორციელდეს. სწორედ ესაა პოეზია.“

ნეტა, როგორი იყო ის პირველადი შეგრძნება, იმპულსი, განწყობა, ვთქვათ, გალაკტიონის პოეზიის კითხვისას რომ დაგვეფლავა:

*ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაფვარდე...
ან დავით ნერედინის კითხვისას:
ზედ სარკმლის სხივზე
აღისფერი ასხლტება ტოტი,
დამეფრხოლებს...*

*მაგრამ სუფთად ვერ იღებს მოტივს.
ნელ-ნელა სხვებზე ჩნდებიან ქაოტუ-რად:*

*მაგრამ ჯერ უნდა მოვიდეს თოვლი
და გადმოჰფინოს თეთრი აფრები
და შენი ნაზი სხეულის თრთოლვით
ათრთოდეს თოვლიც და ყველაფერი.*

ოთარ ჭილაძე


ან:
*ისე დიდხანს იყო სიციხე
ოთახში ჩაკეტილი,
რომ, როგორც კი კარი გავადე,
ყვითელ პეპლებად დანაკუნდა...
ლია სტურუა*

შემდეგ:
*როგორ მინდა, მინდა, მი...
ბაგე მარწყვი, მარწყვი, მა...
გავკონება შენი ხმის,
შენი ნაღვლიანი ხმა.*

ტარიელ ჭანტურია

კიდევ:
*ფოტოსურათებს გადავაძრავლებ, რომ
ნაწილ-ნაწილ გადაგარჩინო,
გადავამრავლე და მომეკვლინე უფრო
საჩინო და თვალსაჩინო...
ვახტანგ ჯავახაძე*

ერთიც:
*ისევ მიველტვი
სიზმარ-ცხადის უხილავ მიჯნას
და ძილ-ბურანში ბჟუტავს სხივი,
რომელიც
მიხსნის,
რადგანაც ყოფნა
ჩემთვის ტანჯვას და
სურვილს ნიშნავს,
და ეს ლექსებიც იწერება
დაღლილი სისხლით.
ანდრო ბუაჩიძე*



**გუგა მელაძე
ხსოვნის
პარცირი**

უცებ ერთ-ერთ თაროსთან ჩერდები... არა, კი არ ჩერდები, ჰიპნოზივით მიგიზიდავს კუთხეში მიდგმული მოყავისფრო კრებულები — საუკუნეგამოვლილი, ხანძრის ენით ალოკილი და მაინც სასწაულებრივად გადარჩენილი ფოლიანტს რომ მოგაგონებს მისი ყდა. ყდის ცენტრში აბგამოკიდებული ჩია მოხუცია ჯოხით ხელში, რომელიც გზას კი არ უყურებს, არამედ შენ — მიტხვევს. და ეს დარდიანი, სკეპტიკური, რაციონალი ქრონიკული დალილობის სიმნარით სავსე მხერვა, ეს „ამოების უფსკრულები“ (თამაზ ბაძაღვა) ისეთი ნაცნობი და მშობლიურია, თითქოს ყდას კი არა, სარკეში არეკლილ საკუთარ თავს აშტერდები... ჰო, ეს ის არის, ვინც მჭირდება სასიციცხლო ყუყუბებად, რათა გადავრჩე, რათა ცხოვრების საზრისი დავიბრუნო... ვიღებ, იქვე ვჯდები და ვინყებ გიგი სულაკაურის „ხეტილის“ კითხვას...

კრებულის კითხვას (არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, პოეტურია, პროზაული, ესეისტური თუ დრამატურული!) იმ პრინციპით ვინყებ, რა პრინციპითაცაა შედგენილი ანუ სტრუქტურის და კომპოზიციური სიმეტრიის მწერლისეულ გააზრებას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. კარგად შედგენილ კრებულში აუცილებლად იგრძნობა ნაწარმოებებს შორის არსებული უწყვეტობის განცდა — ერთგვარი სემანტიკური აბლაბუდა, რაც სხვადასხვა პერიოდში დაწერილ ტექსტებს ერთიანი ორგანიზმის უნარს სძენს.

საუბარი გიგი სულაკაურთან მისვლის პირველადი შეგრძნებებით დავიწყებ. მართალია, მერე და მერე „ხეტილის“ სამყაროში მრავალჯერ ვიმოგზაურე, მაგრამ არასოდეს დამეინცხდა ის უცნაურად საშიში სიმშვიდე (მთელი კრებული სიმშვიდის დეტონატორებითაა სავსე!), რამაც მთლიანად მომიცია. არ ვიცი, ვისთვის როგორ, მაგრამ ჩემთვის ეს უფრო მოსალოდნელ ქარიშხლამდე ჩამონოლილი გაშეშებული სიმშვიდის ფაზის შეგრძნება უფროა, იქნებ — სიკვდილის ექოც... არის ამ კრებულში რაღაც დიდი მეტაფიზიკური ბზარი, საიდანაც ლორწოსავით ჟონავს სიცარიელის შავი წვეთები... თან ამ ბზარს ავადმყოფურად „ცივი“ ლირიკული ნათების მეშვეობით ვაშინევეთ.

მაგალითად:
*თავის ხიბლი აქვს სიცარიელეს.
მე ვიცი, რომ დღეს ცარიელი ვარ.
მაგრამ არ ვიცი,
ცარიელია თუ არა ბინა,
სადაც უაზროდ დაებორიალობ და
რომელშიც თან დამდევს ჩრდილი —
პორტის კახას აკიდებულ,
დასპირტული მეზღაუროებით.
დააკვირდით ინტონაციას — როგორია
ამ ამგანგამებული სიმშვიდის კამერტონი? რა ქმნის ნრიალის უსიამოვნო შეგრძნებას? ვფიქრობ, ყოველივე ეს პოეტის მეხსიერებაში მომწყვედული, ვერმონელე-ბული, ვერდაძლეული სისხლიანი ფანტო-*

მების, ტრავმის ურჩხულების ძალაუფლების შედეგია. სწორედ ხსოვნის კარცერში შეკეტილი წარსულის გვამების სიმძიმე ათქვევინებს მას თუნდაც ასეთ შემზარავ სიტყვებს:

*ნათურა ყვითელი,
გაცრეცილ ორთქლს
უშვებს თვალიდან...
მე მინდოდა, ჩემთან,
ჩემს გვერდით, ვინმე მაინც ყოფილიყო,
მაგრამ მკვლელებსაც ჩასძინებოდათ
ბალიშის ქვეშ ამოდებული
პისტოლეტებით...*

და რა ქმნის აქ ლირიზმის შეგრძნებას? მხოლოდ განწყობა, ცხადია, არა. უფრო გაცხადებული რეალობის კომპარული არსისა და პოეტის ვიზიონერული ხედვის სინთეზი, თანაკვება, შეხების ნერვული, მათი დრამატული გამთლიანების შედეგად ნარმოქმნილი ფლუიდები...

სიცარიელე, სიკვდილი და სიმარტოვე გიგი სულაკაურის პოეზიის მარადიული თანამგზავრები არიან, ოღონდ თემატურ ფუნქციაზე მეტად მათ გაცილებით უფრო ღრმა დატვირთვა აქვთ. უფრო ცხადი რომ გახდეს, ისევე გიგის მოფუხმინით:

*კიდევ რამდენჯერ დავიყმუველო,
კიდევ რამდენჯერ შევაღვლო
ეს ნაღველი, ირონია და მარტოობა
ამ სანყალ მთვარეს,
მთვარის მეტი ხომ ამ ღამეში
აღარავინ მყავს...*

მეტაფიზიკური ლტოლვილობის განცდის სიმწარეს ის მთავარი „გემოა“, რაც გიგი სულაკაურის ლექსების კითხვისას ილექება ჩვენს გონებაში. თანაც ამ მდგომარეობის ტრაგიზმი ნაჩვენებია არა იმდენად ბოზოქარი, ვნებიანი, ვულკანური სიმხურვალის ენერგეტიკით, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცხედრისეული სიმშვიდის სახით. ცხედარი ლექსიდან ლექსში არაერთხელ გაივლებს, როგორც დასახიჩრებული ცნობიერების რღვევის და რღვევის ნანგრევებში მოყოლილი ლირიკული წყობის სულის მეტაფორა.

*ჩემი ხელები მკვდრის ხელებსა ჰგავს,
ხოლო ძვლები გამომავრდა და
გამიქვედა —
სახრჩობელების ხის ძელებზე
უფრო მყარია...*

ან:
*მე მოვედი ამ სიკვდილიდან,
მე დავბრუნდი და გთხოვ,
ნუ მიხსნი მის ბუნებას,
ნუ მიმეორებ იმას, რაც ვიცი, —
ზედმეტად კარგად, ზედმინევნით,
პრაქტიკულად, თეორიულად...*

„ხეტილის“ სამყარო საშიშია, რადგან ასეთია თავად რეალობა, წარმოსახვის მთავარი გამომწვევა. აქ „ცხელი ბზიკები“ მოწუნილ ტყვიების, ტოქსიკომანი ბავშვების, ლოთების და მანიაკების, მხურვალე გრუნტზე დაღვრილი სისხლის, დაბრედილი მოგონებების, ქალაქზე ჯვარდაწერილი ამოების, ოსმივარსულ ნაწლავების

ვებით გადმოყრილი სქელი მილები, თვალებით გადაყლაპული ფეხმძიმე სახლები, მკვდარი გოლიათების, უკვდავებისგან დაღლილი მინოტავრების სამფლობელოა. ლირიკულის სუბიექტიც ზღვარზეა ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ განზომილებებს შორის. შედეგად, ამგვარი შიზოფრენიული გახლენილობა თან მოიყოლებს უცნაური ურბანისტული მიტოსის ელემენტებს, ოღონდ არა დისონანსური სიხისტით, რადგან გიგი სულაკაურის ენა დაცლილია სნობური პრანჭიაობის და ინტელექტუალური კეკლეციობის ყოველგვარი გამოვლინებისგან. მასთან საგნებსა და საზრისებს შორის კომუნიკაცია, ემოციური ზმა ხდება სპონტანურად, დაუგეგმავად, ოღონდ მისი მეტაფორები იმდენად რთული სტრუქტურისაა, რომ კითხვის პროცესში საჭიროა ემოციური და აზრობრივი სიფხიზლის მაქსიმალიზაცია. „ხეტილი“ ხომ დიდი, ერთმანეთში ჩანსული ინტერტექსტულისა და ალუზიების სამყაროა — აღმოსაჩენი, გასაზრებელი, შესაგრძნობი...

გიგი სულაკაურის პოეზიის კიდევ ერთი შტრიხი გამაოგნებელი ემოციური სიშიშველა. მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილი ლიტერატურა გულწრფელობის გარეშე არ იწერება, პოეზიაში ის მთელი სიმძაფრით ვლინდება ხოლმე. გიგის შემთხვევაში ეს დაუნდობელი გულწრფელობა სასტიკი აღსარების სახესაც კი იძენს ხოლმე. გავისხენოთ თუნდაც ქართული პოეზიის სამი შედეგრი: „წერილი დედას“, „ანტიქამირი“ და „ქუჩის ბიჭების გასაგონად“. სამივე მათგანში სიკვდილთან იმგვარი შეხების (შეცნობის) მომენტზეა საუბარი, რომ სრულიად სამართლიანად იბადება ცხედრის პერსპექტივა. გარდა ამისა, სამივე მათგანი კარცერის ღრიალისგან დახეთქილ კედლებზე ფრჩხილით ამოკანრული პირქუში რეკვიემია, ოღონდ ყოველგვარი მაღალი ტონალობის გარეშე. ინტონაცია აქაც მშვიდია — შემზარავად მშვიდი, სასაფლაოს ხეები რომ ჩურჩულებენ — სწორედ ისეთი.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „ხეტილის“ ასახული პეიზაჟები, უმეტესწილად, პოეტის განწყობის სინამდვილეს უფრო გამოხატავს, ვიდრე რეალურ ამინდს, ხეს, თოვლსა და ნათურის ტოქსიკურ ნათებას. ეს ხედვის ინტროსპექციული მომენტებია — საკმაოდ მკვეთრი და სახიერი:

*მზე ბრონეულის მარცვლებით
გაბნეულია
ზღვის ზედაპირზე და
მოტორტმანე სიმორეები,
იისფერი, დასიციხული,
დაკლანკანილი სიმორეები
არ ხსნიან მინის დაღვენილ ფარდას,
ჯერ არ ელიან მხსნელ საღამოს,
საღამოს მიღმა —
ღამის სიგრძელს, —
როცა ბნელი დანთქავს ყველაფერს
და სიმორეც —
მთვარის მოსვლამდე —
იკარგება წარმოსახვის სიბნელებში,
რომ იქიდან
იღუზიების ვარსკვლავებით
გამოანათოს...*

ამ საოცარი ლექსის იდუმალებას (შთამბეჭდავ მეტაფორებითა და ენობრივი ფექტურის სპეციფიკასთან ერთად!) სწორედ განწყობათა გრადაცია ქმნის.

გიგი სულაკაურის პოეზიის კითხვა ჰადესში მოგზაურობას ჰგავს, ოღონდ ეს ჰადესი უცნაურია — ხსოვნის კარცერში ეტევა მთელი თავისი სისხლიანი ფანტომებისა და უკვდავი გვამების, ნატყვიარი ფიქრის ნამსხვრევების, წყველად ქვეული ქალაქისა და საშიში წარმოსახვის წყალობით. კარცერში შედეგებულ ჰაერს ჭუჭყრუტანიდან შემომავალი ლირიზმის სხივი ფატრავს. ეს სხივი სიციცხლის ნებელობის მანიშნებელია, რადგან წერა გადარჩენაა.

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოს მხარეთმცოდნეობის სასახლე

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

9 1 7 7 2 3 4 6 1 7 9 4 0 0 4